



ენის სემანტიკურ და კონცეპტუალურ სივრცეთა დიფერენცირების პრობლემა

ავტორი: თამარ შარაშენიძე

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
საქართველოს უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მ.ჩხეიძე

თბილისი

2018

მიმოხილვა

სიტყვის მნიშვნელობასა და ცნებას შორის არსებული მიმართების განსაზღვრა ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. სირთულე აიხსნება იმით, რომ სიტყვის მნიშვნელობისა და ცნების ანალიზისას საქმე გვაქვს შინაარსობრივი თვალსაზრისის არსთან.

როგორც წმინდა ლინგვისტურ ფენომენს, მნიშვნელობას გაჩნია განმარტებათა მეტისმეტად ფართე დიაპაზონი, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მიმართებათა სისტემაში მისი ადგილის განსაზღვრას. „მნიშვნელობა“ საკმაოდ რთული ფენომენია მეცნიერული ანალიზისათვის, შესაბამისად, უკიდურესად რთულია მისი კონცეპტთან ურთიერთქმედების განსაზღვრაც.

უკანასკნელი პერიოდის ლინგვისტურ კვლევებში იცვლება სიტყვის მნიშვნელობის ანალიზის რაკურსი: სიტყვის ონომასიოლოგიური და სემასიოლოგიური აღწერის ნაცვლად, სიტყვა განიხილება ადამიანის კოგნიტურ მექანიზმთა ქმედების კონტექსტში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკანასკნელი პერიოდის ლინგვისტურ კვლევათა ფარგლებში მნიშვნელობა ასოცირდება არა მხოლოდ ექსპლიციტურ, არამედ იმპლიციტურ ფაქტორებთანაც

მოსაზრებათა მრავალფეროვნებაში ყველაზე ღირებული „საწყისი იდეის“ კონსტანტირებაა, რომლის საფუძველზეც სხვადასხვა მეცნიერების ფარგლებში ვითარდება და კონკრეტდება დამატებითი მნიშვნელობები.

ადამიანთა მიერ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა ფიქსირდება ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაში. აღნიშნული სისტემის ათვისების პროცესში, ადამიანი ითვისებს ენაში განზოგადებულ ადამიანურ გამოცდილებას. იგი არ იგონებს სიტყვათა მნიშვნელობას - იგი ითვისებს უკვე მზა, დორსა და სივრცეში დადგენილ მნიშვნელობათა სისტემას. სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო ძალუმს ენას ადამიანის შემეცნებისა და მოღვაწეობის პროცესზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა.

ადამიანის ცნობიერებაში არსებული კონცეპტუალური სფერო ცვლადია დროსა და სივრცეში. იგი გაცილებით უფრო მოცულობითი ნაწილია, ვიდრე მისი ის ნაწილი, რომელიც გამოხატულია ენობრივი საშუალებებით. თუმცა სწორედ ენობრივ ნიშანთა სემანტიკის შესწავლის გზითაა შესაძლებელია ადამიანის კონცეპტუალურ სფეროში შეღწევა რამდენადაც სწორედ ენობრივი მნიშვნელობებით ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია ენაში, კონცეპტი გააზრებულია ენობრივი მნიშვნელობის პრიზმაში.

ერთი შეხედვით, კონცეპტუალური ანალიზი სემანტიკურ ანალიზს ჰგავს, თუმცა სემანტიკური ანალიზის მიზანი სიტყვის ახსნაა, კონცეპტუალური ანალიზისა კი - სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის თავისებურების წარმოდგენა.

კონცეპტუალური ანალიზის არსი მდგომარეობს კონცეპტის მოდელირებასა და მის სხვა კონცეპტებთან არსებული კავშირების იდენტიფიცირებაში, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვის არსის დესკრიფციას, არამედ „მთელი კონცეპტუალური ველისა და მასში შემავალ ელემენტთა შორის არსებულ მიმართებათა“ თავისებურების განსაზღვრას.

სემანტიკური ანალიზი მიმართულია სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ექსპლიკაციაზე, სიტყვის დენოტატური, სიგნიფიკატური და კონოტაციური მნიშვნელობების დაზუსტებაზე, საბოლოო ჯამში კი, სიტყვის ახსნაზე. კონცეპტუალური ანალიზი კი გულისხმობს იმ კონცეპტთა ძიებას, რომლებიც ერთიანდებიან ინტეგრალური ნიშნის გარშემო და განსაზღვრავენ ამ ნიშნის, როგორც კოგნიტური სტრუქტურის, არსებობას.

დასკვნის სახით, შესაძლოა, ითქვას, რომ კონცეპტი წარმოადგენს მრავალგანზომილებიან იდეალიზირებულ წარმონაქმნს, რომელიც მოიცავს ენობრივ, კულტურულ, მენტალურ და კოგნიტურ ელემენტებს.

| | |
|---|-----|
| სარჩევი | |
| შესავალი | 5 |
| თავი I ენის ერთეულთა მნიშვნელობა და ადამიანთა შემეცნებითი გამოცდილება | 11 |
| 1.1 სიტყვის მნიშვნელობა და კონცეპტი - შინაარსობრივი თვალსაზრისის არსი | 11 |
| 1.2 ანალიზის სემანტიკური და კონცეპტუალური ტიპები | 15 |
| 1.3 კონცეპტი და ფრეიმი - „საწყისი ჭეშმარიტების“ იდეა | 17 |
| თავი 2 სილამაზის ლექსიკურ-სემანტიკური და კონცეპტუალური სივრცეები | 21 |
| 2.1 „სილამაზის“ ცნება დროსა და სივრცეში | 21 |
| 2.2 სილამაზისა და მშვენიერების ცნებები | 25 |
| 2.3 „სილამაზის“ ლექსიკურ-სემანტიკური ველი თანამედროვე ინგლისურ ენაში | 35 |
| 2.4 „სილამაზის“ ფრეიმი თანამედროვე ინგლისურ ენაში | 71 |
| თავი 3 სილამაზის კონცეპტის ასოციაციური სივრცე | 86 |
| 3.1 „ქალის“ ლექსიკურ-სემანტიკური ველი თანამედროვე ინგლისურ ენაში | 86 |
| 3.2 „ქალის“ ფრეიმი თანამედროვე ინგლისურ ენაში | 87 |
| დასკვნა | 110 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 113 |

შესავალი

ახალი მეცნიერული მიმართულების ჩამოყალიბებისა და ინტენსიური განვითარების პერიოდში სრულიად კანონზომიერია არაერთმნიშვნელოვნების არსებობა. კოგნიტური ლინგვისტიკის შემთხვევაში აღნიშნული არაერთმნიშვნელოვნება გამოვლინდა კოგნიტური ლინგვისტიკის არსის ინტერპრეტაციული ველის არაერთგვაროვანებაში: ერთნი თვლიან, რომ ტერმინი „კოგნიტური“ „გაცრეცილი“ და „ცარიელია“. არსებობს კიდევ უფრო უცნაური თვალსაზრისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებული მიდგომები და შედეგები ამდიდრებენ ენათმეცნიერებას, ისინი არანაირად არ ქმნიან არც კვლევის ახალ ობიექტს (უფრო ზუსტად, საგანს) და არც ახალ მეთოდს და ამიტომაც მართლზომიერი იქნება თუ ჩავთვლით, რომ კოგნიტური ლინგვისტიკა არ არსებობს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არარსებობს არაკოგნიტური ლინგვისტიკა.

კოგნიტური ლინგვისტიკის არსის ინტერპრეტაციულ ველში იკვეთება სხვა ტიპის შეფასებებიც, რომლებიც შემდეგნაირად ჟღერს: კოგნიტური ლინგვისტიკა, რა თქმა უნდა არსებობს, ისევე როგორც არსებობს არაკოგნიტური ლინგვისტიკა, მაგალითად, სტრუქტურული.

მე-20 საუკუნის ბოლოსთვის ლინგვისტიკაში არსებული „ამბოხისა“ და „გადატრიალების“ ერთ-ერთ მანიფესტაციას სწორედ კოგნიტური ლინგვისტიკა წარმოადგენს.

კოგნიტური ლინგვისტიკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეცნიერებაა, რომელიც ვითარდება კოგნიტური მეცნიერების ფარგლებში.

დიახ, კოგნიტური ლინგვისტიკა არა მხოლოდ არსებობს, არამედ იგი წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ჭეშმარიტ სახეს.

კოგნიტური ლინგვისტიკის პარადიგმა კავშირშია ლინგვისტური აზროვნების წინა პარადიგმებთან, წინა კონცეფციებთან, კერძოდ ენერგეტიკულ კონცეფციასთან.

ენერგეტიკული კონცეფციისათვის ენის დანიშნულებაა, იყოს ადამიანისა და სამყაროს დაკავშირებული ელემენტი. ენა ადამიანისა და სამყაროს სინთეზია. ამდენად, თანამედროვე ლინგვისტიკა ინარჩუნებს მის შინაგან კავშირს ლინგვისტური აზროვნების წინა პარადიგმასთან, სახელდობრ, სისტემურ-სტრუქტურულ პარადიგმასთან, მაგრამ, ამავე დროს, იძლევა მის ახლებურ ინტერპრეტაციას.

კოგნიტური ლინგვისტიკის, ისევე როგორც კოგნიტური მეცნიერების, საბოლოო მიზანს წარმოადგენს მონაცემების მოძიება „გონების მოქმედების შესახებ“. ამასთანავე, კოგნიტური ლინგვისტიკა სხვა კოგნიტური მეცნიერებებისგან განსხვავდება საკვლევი მასალით - იგი იკვლევს ცნობიერებას ენის მასალაზე დაყრდნობით.

ადამიანის ცოდნა სამყაროს შესახებ და ის ხერხი, რომლითაც ადამიანი ახდენს სამყაროს კლასიფიკაციას, გამოხატულია ენაში. მეორე მხრივ, ენა წარმოადგენს იმ ერთადერთ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ჩვენგან დაფარულ მენტალურ სფეროში შეღწევა. ენის კვლევა თავისი არსით უახლოვდება კოგნიციის კვლვას, რომელიც გულისხმობს სამყაროს დროისა და სივრცის თავისებურებით დეტერმინირებული სემენტაციის თავისებურების იდენტიფიცირებას.

თუ კოგნიტურ ლინგვისტიკას შევხედავთ არა იმ პერსპექტივიდან, საიდანაც იგი წარმოიშვა (აზროვნების, ცნობიერი ქმედებებისა და კოგნიციის შესწავლის სფერო), არამედ ენის ენობრივი დონეების სისტემაში მისი ადგილის პერსპექტივიდან, აღმოჩნდება, რომ იგი დაკავებულია ენის შინაარსობრივი პარამეტრების კვლევით.

თანამედროვეობის მეცნიერულ პარადიგმათა თავისებურებების ანალიზის შედეგად იკვეთება ლინგვისტიკის ზრდადი ზეგავლენა ფუნდამენტალურ მეცნიერებებზე. დღეს მეცნიერება კონცენტრირებულია იმაზე, რითაც კოგნიტური ლინგვისტიკა განსახვავდება ლინგვისტიკის სხვა სახეობათაგან.

პასუხი კითხვაზე, თუ რითი რითი განსხვავდებიან კოგნიტოლოგები არაკოგნიტოლოგებისაგან, შემდეგნაირად ჟღერს: კოგნიტოლოგები ყოველთვის კონცენტრირდებიან სამყაროს მეცნიერული შეცნობისა და ადამიანის ყოველდღიური გამოცდილებაზე დაფუძნებულ მუდმივად მიმდინარე ბუნებრივი კოგნიციის დაპირისპირებაზე. კოგნიტურ მეცნიერებაში სინამდვილის კატეგორიზაციისა და კონცეპტუალიზაციის კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ეხება სწორედ ადამიანის ჩვეული საქციელსა და აკუმულირებულ გამოცდილებას. ენა კი ასახავს კოგნიციის, როგორც პროცესის შედეგებს, რომელიც, თავის მხრივ, ორიენტირებულია ადამიანის გარემოსთან შეგუების, ადამიანის გადარჩენის პრაქტიკული ამოცანის ამოხსნაზე, უშუალო აღქმის მონაცემების კლასიფიკაციასა და ინფორმაციის ნაკადის სემენტაციაზე.

კოგნიციის აღნიშნული ასპექტები რიგ შემთხვევაში მეტყველებენ სამეცნიერო და ყოველდღიური შემეცნების დაპირისპირებაზე. პირველი ორიენტირებულია ჭეშმარიტების

მოპოვებაზე, მეორე კი - წმინდა პრაგმატულ მიზნებზე. შეიძლება, გვესაუბრა ცოდნის მოპოვებასა და ცოდნის გადამუშავებას შორის არსებულ დაპირისპირებაზე, მაგრამ აღნიშნული ოპოზიციის არსი ისედაც სრულიად აშკარაა: კოგნიცია დამახასიათებელია ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებისათვის, განურჩევლად მისი სამეცნიერო ინტერესებისა და მეცნიერული მოღვაწეობის პროცესში არსებულ ამოცანათა გადაჭრის გზების სპეციფიკისა. ამიტომაც ცნება „კოგნიტური“ ხშირად გულისხმობს „ბუნებრივად შემეცნებად“, „გამოცდილების მიღების პროცესში შემეცნებად“. ენაში ფიქსირებული ცოდნის სტრუქტურები, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს „ბუნებრივ“ სტრუქტურებს, გამოცდილების, სამყაროს შეცნობისა და შეფასების სტრუქტურებს, რომელსაც იზიარებს აღნიშნული ენობრივი საზოგადოების თითოეული წევრი. აღნიშნული ტიპის სტრუქტურები გვევლინებიან ეგრეთ წოდებული „გაზიარებული ცოდნის“ სფეროს კონსტიტუენტებად.

კვლევის აქტუალობა

თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში სულ უფრო საგრძნობი ხდება მენტალური სტრუქტურების (ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურების) და ენის სტრუქტურის „დამაკავშირებელი“ რგოლის გამოვლენის აუცილებლობა. კოგნიტურ ლინგვისტიკაში დღემდე არსებობს დისკუსიურ საკითხთა წყება, რომელიც უკავშირდება კონცეპტსა და მისი ენობრივი გამოხატულების ობიექტივიზაციას შორის არსებულ მიმართებას. სწორედ ენობრივ სისტემასა და კონცეპტუალურ სისტემას შორის არსებული „ხიდის“ კვლევა წარმოადგენს იმ კონტექსტს, რომელშიც იკვეთება ნაშრომის აქტუალობა.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ ენაში „სილამაზის“ კონცეპტის კონფიგურაციის განსაზღვრა სემანტიკურ და კონცეპტუალურ სივრცეთა დიფერენცირების გზით.

ნაშრომში გამოყენებული პროექტირების მეთოდოლოგია გულისხმობს კვლევის პროცესის სემანტიკის ეტაპებად. დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება კვლევის ისეთი ეტაპების განხორციელება, როგორცაა:

1. სპეციალური ლიტერატურის მოძიება და ანალიზი;

2. იმ კონცეპტთა ძიება, რომლებიც ერთიანდებიან ერთი ნიშნის გარშემო და განსაზღვრავენ ამ ნიშნის, როგორც კოგნიტური სტრუქტურის, არსებობას;
3. კოგნიტური ნიშნების ენობრივ ობიექტივატორთა იდენტიფიცირება;
4. „სილამაზისა“ და მისი კონტრადიქტული ლექსიკურ-სემანტიკური ველების აგება თანამედროვე ინგლისურ ენაში;
5. „სილამაზისა“ და მისი კონტრადიქტული სემანტიკური ფრეიმების კონსტრუირება თანამედროვე ინგლისურ ენაში;
6. ლექსიკურ-სემანტიკური ველისა და სემანტიკური ფრეიმის კონტრასტირება;
7. ანალიზის შედეგად კონკრეტული თეორიული დასკვნების გამოტანა.
კვლევის ეტაპებს მიღმა იკვეთება ისეთი საკითხები, როგორიცაა:
 1. მთელსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებული კავშირის ინტერპრეტაცია;
 2. ენობრივ შინაარსთა სისტემის, როგორც ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთგანმსაზღველ ელემენტთა შესწავლა;
 3. ელემენტთა ურთიერთგანპირობებულობისა და იერარქიულობის განსაზღვრა;
 4. ენობრივი ცოდნის სტრუქტურათა რეპრეზენტაციის თავისებურებათა ანალიზი;
 5. სამყაროსა და მისი კოგნიციის ცვალებადობის კვლევა;
 6. ცნობიერების კოგნიტური სტერეოტიპების ერთობლიობით განპრობებული სინამდვილის აღქმისა და გაცნობიერების თავისებური სტილის გაცნობიერება;
 7. პერსპექტივათა თანზიარობისა და პოზიციის გაიდეალიზების არსის გააზრება;
 8. კონცეპტუალური სფეროსა და ენის სემანტიკური სივრცის მიმართების იდენტიფიცირება;
 9. სიტყვასა და კონცეპტს შორის არსებული მიმართების გამოვლენა;
 10. კონცეპტის რეპრეზენტაციის თავისებურებათა კვლევა ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სტრუქტურაში.

ნაშრომის ჰიპოტეზა

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: რამდენადაც სემანტიკურ ერთეულს, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულს, გააჩნია მიმართებათა ორი სხვადასხვა მიმართულება, რომელთაგან ერთი კონცეპტუალური სისტემაა, მეორე კი –

ლექსიკური სისტემა, საფიქრებელია, რომ ენობრივ სისტემასა და კონცეპტუალურ სისტემას შორის გარკვეული “ზიდის” ფუნქციის შესრულება ყველაზე უკეთ სემანტიკას ძალუძს.

მეცნიერების თანამედროვე მეთოდოლოგიაში მიღებულია შემეცნების მეთოდთა მრავალდონიანი კლასიფიკაცია, რომლის თანახმადაც მეცნიერული შემეცნების ყველა მეთოდი, ზოგადობისა და ადამიანის მოღვაწეობის სფეროს გათვალისწინებით, იყოფა ფილოსოფიურ, ზოგადმეცნიერულ, კერძო მეცნიერულ, დისციპლინარულ და ინტერდისციპლინარულ კვლევათა მეთოდებად.

ჩვენი კვლევისათვის რელევანტურია როგორც კერძო მეცნიერული (ფილოლოგიის სფეროსათვის ტიპური), დისციპლინარული (ლინგვისტიკის სფეროსათვის ტიპური) და ინტერდისციპლინარული მეთოდები, ისე ფილოსოფიური (ანალიტიკური) და ზოგადმეცნიერული (სისტემურ-სტრუქტურული და მოდელირების) მეთოდები და მიდგომები.

ამდენად, გამოყენებულ მეთოდოლოგიაში ფუნქციონირებს მეთოდთა რთული, დინამიური, მთლიანობრივი და სუბორდინაციული სისტემა. სხვა სიტყვებით, სახეზეა მეთოდოლოგიური პლურალიზმი, რაც გულისხმობს ერთ სააზროვნო სივრცეში სხვადასხვა მეთოდებისა და პრინციპების გამოყენებას მათი სინთეზირების გზით. კონკრეტულ შემთხვევაში ვგულისხმობთ დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესთა სინთეზირებას.

ნაშრომში რეალიზებული პოლიპარადიგმული კვლევის მეთოდოლოგია ცენტრირებულია როგორც კოგნიტურ ლინგვისტიკაზე, ისე სტრუქტურულ ლინგვისტიკაზე, შესაბამისად, ნაშრომისათვის თანაბრად რელევანტურია როგორც სისტემურ-სტრუქტურულ, ისე ანთროპოცენტრისტულ თეორიათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდები, კერძოდ, სემანტიკური დეკომპოზიციისა და კონცეპტუალური ანალიზის მეთოდები.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ ენაში „სილამაზის“ კონცეპტის სტრუქტურაცია სისტემურ-სტრუქტურული, ლინგვოკოგნიტური და აქსიოლოგიური პერსპექტივებიდან.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტით: მოძიებული მასალა და კვლევის შედეგები ვალიდურია როგორც კოგნიტური ლინგვისტიკისა და სტრუქტურული ლინგვისტიკისათვის, ისე ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის სალექციო კურსებისათვის.

ლინგვისტური კვლევის სისტემურ-სტრუქტურულ და კოგნიტურ მიმართულებებს თვითკმარობაზე აქვს პრეტენზია - თითოეული მათგანი მიიჩნევს, რომ მხოლოდ მასზე დაყრდნობით იძენს მოწინააღმდეგე მიმართულება თავის მნიშვნელობას.

კვლევის ყველა ეტაპმა დაადასტურა ლინგვისტური ანალიზის იმგვარი მიმართულების განსაზღვრის აუცილებლობა, რომელიც მისაღები საფუძველი იქნებოდა სისტემურ-სტრუქტურული და ლინგვოკოგნიტური მიმართულებების სინთეზირებული ფორმისათვის. აღნიშნული ფორმის ძიება გულისხმობს არა წინამორბედი თუ თანამედროვე თეორიის უარყოფას, არამედ უკვე არსებულის პოზიტიურად განავითარებას.

სისტემურ-სტრუქტურულ და ლინგვოკოგნიტურ პერსპექტივათა სინთეზი უზრუნველყოფს მრავალგანზომილებიანი ფენომენის ინტერპრეტაციის სისრულესა და ადეკვატურობას. სწორედ ეს ფაქტი განსაზღვრავს ნაშრომის თეორიულ ღირებულებას.

კვლევის მასალა მოპოვებულია ორენოვანი და განმარტებითი ლექსიკონებიდან, ასევე ბერკლის ფრეიმთა ქსელიდან.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა და სამეცნიერო სიახლე. განსაზღვრულია კვლევის მიზნები და დასახული მიზნების მიღწევისათვის საჭირო ამოცანები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

თავი I. ენის ერთეულთა მნიშვნელობა და ადამიანთა შემეცნებითი გამოცდილება

1.1. სიტყვის მნიშვნელობა და კონცეპტი - შინაარსობრივი თვალსაზრისის არსი
თეორიულ ლინგვისტიკაში სიტყვის მნიშვნელობასა და ცნებას შორის არსებული
მიმართების განსაზღვრა ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა.

(Belke, Btysbaert, Meyer & Ghyselinck/ბელკი, ბისბერტი, მაიერი, ჩისელინკი 2005, გვ. 45-54)
(Bowles, & Poon/ბოულზი, პუნი 1985, გვ. 71-77) (Carnap/ კარნეპი 1956, გვ. 258) ეს, პირველ
რიგში, აიხსნება იმით, რომ სიტყვის მნიშვნელობისა და ცნების ანალიზისას საქმე გვაქვს
შინაარსობრივი თვალსაზრისის არსთან.

როგორც წმინდა ლინგვისტურ ფენომენს, მნიშვნელობას გაჩნია განმარტებათა მეტისმეტად
ფართო დიაპაზონი, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მიმართებათა სისტემაში მისი ადგილის
განსაზღვრას მისივე შეპირისპირებადი მოვლენით - კონცეპტით. „მნიშვნელობა“ საკმაოდ
რთული ფენომენია მეცნიერული ანალიზისათვის, შესაბამისად, უკიდურესად რთულია
მისი კონცეპტთან ურთიერთქმედების განსაზღვრა. (Chertkow & Bub/ჩერტკოვი & ბუბი
1990, გვ. 397-417) (Coleman, Kay /კოლემანი, კეი 1981, გვ. 26-44) (Collins, Loftus /კოლინზი,
ლოფტუსი 1975, გვ. 407-428)

ენობრივი მნიშვნელობები გადმოცემს სამყაროზე ჩვენი ცოდნის მხოლოდ ნაწილს: „ენა -
ცოდნაში საუკეთესო ფანჯარაა, ჩვენ ხომ ყოველთვის ვიყენებთ ენას, რათა გამოვხატოთ იგი...
და მაინც არსებობს აზრები, რომელთა სიტყვებით გადმოცემა ძალზე რთულია და რომელთა
ობიექტივაციისას ჩვენ ვაწყდებით მნიშვნელოვან სირთულეებს“... (Чешћ /ჩეიფი 1975, გვ. 109)

ზოგი მკვლევარისათვის ცნებისა და სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობის დიფერენცირების
საფუძველს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პირველის ფორმირებაში მონაწილეობას იღებს, ასე
ვეტყვით, ორი ძალა: საგანი და აზროვნება, ხოლო მეორის ფორმირებაში კი - სამი ძალა:
საგანი, აზროვნება და ენის სტრუქტურა. (Звегинцев /ზვიგინცევი, 1996)

ჯ. ლაიონზი მნიშვნელობას კონცეპტთან აიგივებს. (Lyons/ლაიონზი, 1968) ანიჭებს რა ენაში
ცნებით (კონცეპტურ) ფაქტორს პირველხარისხოვან როლს, უ. ლ. ჩეიფი, აღნიშნავს ცნების
ლინგვისტურ რელევანტურობას, მაგრამ არ ახდენს კოგნიტური და სემანტიკური ასპექტების
დიფერენცირებას. (Чешћ /ჩეიფი 1975, გვ. 123)

უკანასკნელი პერიოდის ლინგვისტურ კვლევებში იცვლება სიტყვის მნიშვნელობის
ანალიზის რაკურსი: სიტყვის ონომასიოლოგიური და სემასიოლოგიური აღწერის ნაცვლად,

სიტყვა განიხილება ადამიანის კოგნიტურ მექანიზმთა ქმედების კონტექსტში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკანასკნელი პერიოდის ლინგვისტურ კვლევათა ფარგლებში მნიშვნელობა ასოცირდება არა მხოლოდ ექსპლიციტურ, არამედ იმპლიციტურ ფაქტორებთანაც.

(Уфимцева /უფიმცევა) არსებობს თვალსაზრისი, რომ მნიშვნელობები გარკვეულწილად დამოუკიდებელია ენისგან. (Wierzbicka /ვერბიცკაია, 1992) არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობები მათში გამოხატული კონცეპტუალური (აზრობრივი) სტრუქტურების ტოლია. (Jackendoff, /ჯეკენდოფი, 2002, გვ. 53-67)

აშკარაა, რომ ორივე თვალსაზრისი თანხმდება მნიშვნელობისა და კონცეპტის გაიგივების შესაძლებლობაში: ადამიანი ხშირად იყენებს სიტყვებს არა მათი ცოდნის დონით, არამედ მათ მიერ გადმოცემული აზრების დონით, ანუ კონცეპტუალური ნიშნებით. სიტყვის მნიშვნელობა „ნიშნით დაჭერილი“ კონცეპტია, ნიშანი კი - სიტყვაა. (Курякова /კურიაკოვა, 1991)

უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურალისტები აღიარებდნენ მნიშვნელობათა კონტექსტუალურად განპირობებულობას, ხოლო რაც შეეხება კონცეპტუალურად განპირობებულობას, ეს უკანასკნელი სტრუქტურალისტების მიერ გააზრებულია როგორც ენობრივი სისტემაში ნიშნებს შორის არსებული სინტაგმატური და პარადიგმატული მიმართებები.

აშკარაა, რომ ამგვარი ხედვა ვერ განახცადებს პრეტენზიას სამყაროს მთელი სისრულით ხედვის უნარზე. თუ ენა ასახავს იმ ხერხს, რომლითაც დანახულია სამყარო, მაშინ აუცილებელია ენის ისეთი თეორიის შექმნა, რომელსაც ძალუძს ადამიანთა გამოცდილებას ასახვა. (Lakoff /ლაკოფი, 1981)

ცოდნის მნიშვნელოვანი წილი ინახება ცნობიერებაში აბსტრაქციის სხვადასხვა ხარისხის მქონე აზრობრივი სტრუქტურების სახით. ასეთ კოგნიტურ სტრუქტურებად ფრეიმები, სკრიპტები, გეშტალტები ან კონცეპტები განიხილება. ამ მეცნიერულ აბსტრაქციათა რიგში თანამედროვე ლინგვისტიკაში ყველაზე გავრცელებული ტერმინი „კონცეპტია“. (Croft /კროფტი, 1990) (Coulson, & Oakley /კოულსონი & ოკლი 2000) (Coulson, /კოულსონი, 2001) (Croft & Cruse /კროფტი & კრუზი, 2004)

ლინგვოკულტუროლოგიასა და კოგნიტურ ლინგვისტიკაში კონცეპტი გააზრებულია როგორც:

მეცნიერული აბსტრაქცია, როგორც აზროვნების რთული ორგანიზების სტრუქტურა, როგორც მოცემული სიტყვის მრავალი შესაძლო მნიშვნელობის ერთობლიობა. (Barsalou /ბარსელოუ, 1992) (Lehrer & Kitty/ლერერი & კიტი)

მრავალგანზომილებიანი იდეალიზირებული წარმონაქმნი, რომელიც მოიცავს ენობრივ, კულტურულ, მენტალურ და კოგნიტურ ელემენტებს (Fodor, /ფოდორი, 1990)

სტრუქტურული ცოდნის კვანტი, ნეირონული აქტივობის პატერნი, როგორც ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნის „ნაერთი“ (Jackendoff /ჯაკენდოფი, 1992)

კულტურის ელემენტების მენტალური პროექცია (Wierzbicka /ვეჟბიკაია, 1992)

გამოცდილების, კულტურისა და იდეოლოგიის პოტენციური მუხტის მატარებელი მენტალური ერთეული (Вежбицкая /ვეჟბიკაია, 2001)

ენისა და აზროვნების დამაკავშირებელი რგოლი (Talmy/თალმი, 2000) (Daum, Riesch, Sartori, & Birbaumer, /დაუმი, რიში, სარტორი & ბირბამერი 1996, გვ. 648-665) (Uyl, Oostendorp/იუ, ოსტენდორფი 1980, გვ. 275-294) (Ellis, Young/ელისი, იანგი 2000, გვ. 27-59)

ცნობიერების ერთეული და ადამიანის გამოცდილების ინფორმაციული სტრუქტურა (Кубрякова/კუბრიაკოვა, 1994)

რეალური ან იდეალური სამყაროს საგნის ამსახველი, კოლექტიური ცნობიერების ნებისმიერი დისკრეტული ერთეული, რომელიც ინახება ენის მატარებელთა ეროვნულ მეხსიერებაში შემეცნებული და ვერბალურად აღნიშნული სუბსტრატის სახით (Gardiner /გარდინერი, 1985)

რეალური სამყაროს საგანზე არსებულ ცოდნად, რომელიც გარდაქმნილია იდეალური სამყაროს საგანზე არსებულ ცოდნად (Wierzbicka /ვეჟბიკაია, 1992)

მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ კონცეპტი აზროვნების კატეგორიაა, რომელიც არ გვეძლევა უშუალო დაკვირვებაში (Демьянков /დემიანკოვი, 2001) მკვლევართა მერე ნაწილი კი სწორედ ამ განმარტებას მიიჩნევს კონცეპტის სხვადასხვაგვარად განმარტების შესაძლებლობას (Barsalou /ბარსელოუ, 1992)

ზოგი მეცნიერის თვალსაზრისით, ცნება არის ის, რაზეც ხალხი თანხმდება. ხალხი აგებს ცნებებს, რათა მათ (ხალხს) ჰქონდეს „საერთო ენა“ ... კონცეპტები თავისთავად არსებობენ, ხოლო ხალხი ახდენს მათ რეკონსტრუირებას მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით (Lakoff /ლაკოფი, 1982, გვ.139-193) ტერმინის „კონცეპტი“ მნიშვნელობა მოიცავს „საწყისი ქეშმარიტების“ იდეას. კონცეპტი არის ის, რაც „ჩასახულია“ ... ზოგჯერ გაცილებით

შედგენიანია საწყის იდეათა ან კონცეპტთა რეკონსტრუირება ჩამოყალიბებულ წარმოდგენებსა და ძველ კონცეპტებზე დაყრდნობით. (Демьянков /დემიანკოვი 2001, გვ. 68-75) (Lakoff /ლაკოფი 1977, გვ. 236-287)

ერთნი განსაზღვრავენ კონცეპტს როგორც „ენისა და აზროვნების დამაკავშირებელ რგოლს, როგორც ცნობიერების ერთეულს და ადამიანის გამოცდილების ინფორმაციულ სტრუქტურას.“ (Курьякова /კურიაკოვა 1995, გვ. 182-184) (Günter/გიუნტერი, 1992)

სხვათა თვალსაზრისით კი, კონცეპტი წარმოადგენს „რეალური ან იდეალური სამყაროს საგნის ამსახველ, კოლექტიური ცნობიერების ნებისმიერ დისკრეტულ ერთეულს, რომელიც ინახება ენის მატარებელთა ეროვნულ მეხსიერებაში შემეცნებული და ვერბალურად აღნიშნული სუბსტრატის სახით. (Лаккоф ,Джонсон /ლაკოფი, ჯონსონი 1988)

კონცეპტის სტრუქტურაში გამოიყოფა ცენტრალური და პერიფერიული ზონები. (Lehrer Kittay /ლერერი, კიტი 1992) კონცეპტის მთლიანობას უზრუნველყოფს ცენტრისა და პერიფერიის ელემენტთა შორის არსებული კონგიტური კავშირი. (Anderson /ანდერსონი, 1996) კონცეპტი, როგორც ლინგვოკოგნიტური ფენომენი, წარმოადგენს „ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების ამსახველი ცნობიერებისა და ინფორმაციული სტრუქტურის, მენტალური ან ფსიქიკური რესურსების ერთეულს; კონცეპტი მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემის, გონების ენის ერთეულია, რომელსაც გააჩნია შინაარსობრივი განსაზღვრულობა. (Burling /ბელინგი, 1964) კონცეპტები სხვაობენ დროში წარმოშობის, წარმოშობის თავისებურებებისა და სემანტიკის მიხედვით. სწორედ ამიტომ გააჩნია კონცეპტს გენეტიკური განსაზღვრულობა.(Globerson, Zelniker /გლობერსონი, ზელნიკერი 1989)

კონცეპტი, როგორც ინდივიდის ცნობიერებაში არსებული მენტალური წარმონაქმნი, წარმოადგენს სოციუმის კონცეპტუალურ სფეროში შეღწევის საშუალებას. კონცეპტის ფორმირება გულისხმობს სინამდვილის გამოცდილებისეული შემეცნების შედეგად მიღებულ მონაცემთა განზოგადების პროცესს. (Dirven. & Verspoor/დირვენი& ვერსპური 1998)

ჩვენი აზრით, აღნიშნულ მოსაზრებებში ყველაზე ღირებული „ჩასახვის“ სემის, „საწყისი იდეის“ კონსტანტირებაა, რომლის საფუძველზეც სხვადასხვა მეცნიერების ფარგლებში ვითარდება და კონკრეტდება დამატებითი მნიშვნელობები.

დასკვნის სახით, შესაძლოა, ითქვას შემდეგი: კონცეპტი წარმოადგენს მრავალგანზომილებიან იდეალიზირებულ წარმონაქმნს, რომელიც მოიცავს ენობრივ, კულტურულ, მენტალურ და კოგნიტურ ელემენტებს.

1.2. ანალიზის სემანტიკური და კონცეპტუალური ტიპები

ადამიანთა მიერ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა ფიქსირდება ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაში. აღნიშნული სისტემის ათვისების პროცესში, ადამიანი ითვისებს ენაში განზოგადებულ ადამიანურ გამოცდილებას. იგი ითვისებს უკვე მზა, არბიტრალურ მნიშვნელობათა სისტემას, მშობლიურ ენაში მოცემულ საკლასიფიკაციო სისტემას. სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო ახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას ენა ადამიანის შემეცნებისა და მოღვაწეობის პროცესზე. სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო წარმოადგენს ნებისმიერი კვლევის საფუძველს კონცეპტის ნომინაციური ველის არსი (Evans & Green /ევანსი & გრინი 2005)

კონცეპტის, როგორც მენტალური ერთეულის, არსის წვდომა შესაძლებელია ენაში მისი ობიექტივიზაციის საშუალებათა ანალიზის გზით. მკვლევარები კონცეპტის ნომინაციურ ველს მიიჩნევენ იმ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობად, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია - ვერბალიზაცია, რეპრეზენტაცია (Wilensky /ვილენსკი, 1990)

კონცეპტუალური ანალიზის არსი მდგომარეობს კონცეპტის მოდელირებასა და მის სხვა კონცეპტებთან არსებული კავშირების იდენტიფიცირებაში, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვის არსის დესკრიფციას, არამედ „მთელი კონცეპტუალური ველისა და მასში შემავალ ელემენტთა შორის არსებულ მიმართებათა“ თავისებურების განსაზღვრას. გასათვალისწინებელია, რომ გაგებას „უზრუნველყოფს სიტყვათა და წინადადებათა მნიშვნელობის ცოდნა (სემანტიკური კომპეტენცია), ... ხოლო ინტერპრეტაციას - ენის გამოყენების მექანიზმთა მნიშვნელობა (პრაგმატიკული კომპეტენცია), თუმცა „სწორი გაგება არ გამორიცხავს არასწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას“ კუბრიაკოვა (Кубрякова /კუბრიაკოვა, 1995, გვ. 171-183)

ანალიზის კონცეპტუალურ და სემანტიკურ ტიპებს შორის არსებული მიმართების განსაზღვრის პრობლემა, პრინციპში, გულისხმობს კონცეპტუალურ სფეროსა და ენის სემანტიკურ სივრცეს შორის არსებული მიმართების განსაზღვრის პრობლემას.

კონცეპტუალური სფეროსა და სემანტიკურ სივრცეს შორის არსებული მსგავსება/განსხვავება შემდეგში მდომარეობს:

კონცეპტუალური სფერო წმინდა აზროვნების სფეროა. იგი შედგება კონცეპტებისაგან, რომელიც არსებობს აზრობრივი ხატების, სქემების, ცნებების, ფრეიმების, სცენარების სახით (Jackendoff /ჯაკენდოფი, 1991) ენის სემანტიკური სივრცე წარმოადგენს კონცეპტუალური სფეროს ნაწილს, რომელმაც მიიღო გამოხატულება ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით (Jackendoff /ჯაკენდოფი, 1983) სემანტიკა წარმოადგენს ურთიერთგანმსაზღვრელ ელემენტთა მოწესრიგებულ მთლიანობას. ენის სემანტიკური სივრცის ელემენტთა შორის არსებული კავშირები ასახავს კონცეპტუალურ სფეროში შემავალ კონცეპტთა მიმართებებს. ენის სემანტიკური სივრცე კონცეპტუალური სფეროს ის ნაწილია, რომელიც გამოიხატება ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით. (Jackendoff /ჯაკენდოფი, 1990) (Bedell /ბედელი 1974, გვ. 430-432)

ადამიანის ცნობიერებაში არსებული კონცეპტუალური სფერო ცვლადია დროსა და სივრცეში. (Talmy/თალმი 2000, გვ. 409) იგი გაცილებით უფრო მოცულობითი ნაწილია, ვიდრე მისი ის ნაწილი, რომელიც გამოხატულია ენობრივი საშუალებებით. თუმცა სწორედ ენობრივ ნიშანთა სემანტიკის შესწავლის გზითაა შესაძლებელია ადამიანის კონცეპტუალურ სფეროში შეღწევა. რამდენადაც სწორედ ენობრივი მნიშვნელობებით ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია ენაში, კონცეპტი გააზრებულია ენობრივი მნიშვნელობის პრიზმაში (Langacker, /ლანგაკერი, 1998)

კონცეპტის სიტყვიერი ნომინაცია არ განიხილება კონცეპტის არსებობის აუცილებელ პირობად. (O' Grady/ო' გრეიდი, 1987) O'Grady & Dobrovolsky/ო'გრეიდი & დობროვოლსკი 1987, გვ. 190-191) ვერბალიზაციას შესაძლოა, არ დაექვემდებარის როგორც მთელი კონცეპტი, ისე მისი ცალკეული აზრობრივი ნაწილი. ნებისმიერი ენობრივი ნიშანი წარმოადგენს კონცეპტს, მაგრამ იგი წარმოადგენს კონცეპტს არა სრულად - ენობრივი ნიშანი თავისი მნიშვნელობით წარმოადგენს რამდენიმე კონცეპტუალურ თვისებას. (Jackendoff /ჯაკენდოფი 1992, გვ.79-81) და მაინც, კონცეპტი მთელი თავისი შინაარსის სისრულით შესაძლოა, გამოიხატოს მხოლოდ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობით. (O' Grady /ო'გრეიდი, 1987)

(O'Grady & Dobrovolsky/ო'გრედი & დობროვოლსკი 1987, გვ. 171-182) კონცეპტის ენობრივი გამოხატულება, მისი რეგულარული ვერბალიზაცია უზრუნველყოფს კონცეპტის ცნობადობას, მდგრადობას დროსა და სივრცეში.

1.3. კონცეპტი და ფრეიმი - „საწყისი ჭეშმარიტების“ იდეა

კონცეპტის არსის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამედროვე ლინგვისტიკაში. საფიქრებელია, სწორედ ეს არსი მიზეზი იმ ფაქტისა, რომ კვლევის ეს სფერო ხასიათდება თვალსაზრისთა მრავალფეროვნებით. აღნიშნულმა მრავალფეროვნებამ გამოიწვია ტერმინოლოგიის დიფუზურობა. და მაინც, „კონცეპტი“ დამკვიდრდა კოგნიტივისტიკის, სემანტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის ცნებობრივ აპარატში (Croft & Cruse /კროფტი & კრუზი 2009, გვ. 356)

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ თუ ენა წარმოადგენს სამყაროს ხედვის ხერხს, მაშინ აუცილებელია „ადამიანთა გამოცდილებას ამსახველი თეორიის შექმნა“. ცოდნა ინახება ცნობიერებაში სხვადასხვა ხარისხის აბსტრაქციის მქონე აზრობრივი სტრუქტურების, კერძოდ, ფრეიმების, სკრიპტების, გეშტალტების ან კონცეპტების სახით. (Langacker /ლანგაკერი 1988, გვ. 49-90) (Bower ,Black ,Turner/ბაუერი, ბლეკი, ტერნერი)(Hillsdale/ ჰილსდეილი 1979, გვ. 177-220))

კონცეპტი, როგორც ტერმინი, ხასიათდება განმარტებათა მრავალფეროვნებით: ერთნი თვლიან, რომ „კონცეპტი აზროვნების კატეგორიაა, რომელიც არ გვეძლევა უშუალო დაკვირვებაში. სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს მისი სხვადასხვაგვარად განმარტების შესაძლებლობას.“ (Sowa/სოვა, 1984) (Rossi, Biehl,Angulo /როსი, ბილი, ანგულო 2008) (Bellezza, Bower /ბელეზა, ბაუერი 1981, გვ. 4-6)

ზოგი მეცნიერის თვალსაზრისით, ცნება არის ის, რაზეც ხალხი თანხმდება. ხალხი აგებს ცნებებს იმისათვის, რომ მათ (ხალხს) ჰქონდეს „საერთო ენა“ ... კონცეპტები თავისთავად არსებობენ, ხოლო ხალხი ახდენს მათ რეკონსტრუირებას მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით. ტერმინის „კონცეპტი“ მნიშვნელობა მოიცავს „საწყისი ჭეშმარიტების“ იდეას. კონცეპტი არის ის, რაც „ჩასახულია“ ... ზოგჯერ გაცილებით შედეგიანია საწყისი იდეათა ან კონცეპტთა რეკონსტრუირება და ჩამოყალიბებულ წარმოდგენებზე - ძველ კონცეპტებზე - დაყრდნობით

ახალ ცნებათა კონსტრუირება.(Wille ,Ganter /ვილე, გენტერი 1999) (Simmons /სიმონსონი, 1973)(Schank, Colby /შენკი, კოლბი გვ. 245-251).

რაც შეეხება კონცეპტუალურ სფეროს, იგი წმინდა აზრობრივი სფეროა, რომელიც შედგება სქემების, ცნებების, ფრეიმების, სცენარების, გემტალტებისა და ობიექტური რეალობის ნიშანთა განმაზოგადებელი აბსტრაქტული ფენომენების სახით არსებული კონცეპტებისაგან.

(Bierwish /ბიერვიში 1969, გვ. 153-184) (Rosch /როში, 1978) (Hillsdale/ჰილსდეილი, გვ.43-58)

ე. კუბრიაკოვა კონცეპტის სტრუქტურაში გამოყოფს ცენტრალურ და პერიფერიულ ზონებს, რომლებიც ქმნიან პოლისემიური ლექსემის ძირითად, პირდაპირ ნომინაციურ მნიშვნელობას (კონცეპტის ამოსავალი პროტოტიპული მოდელი) და მის მეორად (წარმოებულ)

მნიშვნელობებს. კონცეპტის მთლიანობას უზრუნველყოფს ცენტრისა და პერიფერიის ელემენტთა შორის არსებული კონგიტური კავშირი (Курьякова /კუბრიაკოვა 1995, გვ. 175-187) კონცეპტი, როგორც ლინგვოკოგნიტური ფენომენი, წარმოადგენს „ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების ამსახველი ცნობიერებისა და ინფორმაციული სტრუქტურის, მენტალური ან ფსიქიკური რესურსების ერთეულს; კონცეპტი მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემის, გონების ენის, ადამიანის ფსიქიკაში ასახული სამყაროს ხატის ერთეულია, რომელსაც გააჩნია შინაარსობრივი განსაზღვრულობა. (Курьякова /კუბრიაკოვა 1995, გვ.172-193) კონცეპტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დროში წარმოშობის, წარმოშობის თავისებურებებისა და სემანტიკის მიხედვით. სწორედ ამიტომ გააჩნია კონცეპტს გენეტიკური განსაზღვრულობა.“ (Fauconnier/ფოკონიერი,1985) (Reed /რიდი 1996, გვ. 76-82) (Schiffer, Steel /შიფერი, სტილი 1988, გვ. 114-126) (Smith& Medin /სმიტი & მედინი 1981, გვ. 204-211) (Russell /რასელი 1948, გვ. 82-93)

კონცეპტი, როგორც ინდივიდის ცნობიერებაში არსებული მენტალური წარმონაქმნი,

წარმოადგენს სოციუმის კონცეპტუალურ სფეროში შეღწევის საშუალებას. კონცეპტის ფორმირება გულისხმობს სინამდვილის გამოცდილებისეული შემეცნების შედეგად მიღებულ მონაცემთა განზოგადების პროცესს. (Caramazza/კარამაზა 1998, გვ. 265-272) (Dunn, Cahill, Dukes, & Ginsberg /დანნი, ქაჰილი, დიუკსი, გინსბერგი 1986, გვ. 67-72) (Blezer /ბლეზერი 1997, გვ. 102-108) (Caramazza /კარამაზა 1998, გვ. 265-272) (Hart& Luke /ჰარტი & ლუკი 2007, გვ. 27-32) (Markus Kitayama /მარკუსი, კიტაიამა 1991, გვ.145-153)

კონცეპტის ფუნქციონირების პროცესი კი გულისხმობს იმ ენობრივ საშუალებათა შერჩევასა და გამოყენებას, რომელთა საშუალებითაც, ადრესანტის თვალსაზრისით, შესაძლებელია კონცეპტის აქტივიზაცია ადრესატის შემეცნებაში. (Günter/გიუნტერი, 1992) (Grant & Dagenbach /გრანტი,დაგენბახი 2000, გვ. 69-94) (Hawkins /ჰაკინსი 2005, გვ. 125-128) (Putnam, Mind/პუტნამი, მაინდი 1975, გვ. 367-372) (Radden/რადენი1992, გვ. 289-296)

შეჯამების სახით, შესაძლოა, ითქვას შემდეგი: კონცეპტი გააზრებულია როგორც აზროვნების რთული ორგანიზების სტრუქტურა, როგორც სიტყვის შესაძლო მნიშვნელობათა ერთობლიობა. კონცეპტი წარმოადგენს მრავალზომიან იდეალიზირებულ წარმონაქმნს, რომელიც მოიცავს ენობრივ, კულტურულ, მენტალურ და კოგნიტურ ელემენტებს. (Givón, Mind, Hillsdale /გივონი, მაინდი, ჰილსდეილი1989, გვ. 315-318) (Курьякова/კურიაკოვა 2001,გვ. 204-216) (Grant & Dagenbach. / გრანტი, დაგენბახი 2000, გვ. 69-94)

კოგნიტოლოგიაში ფართოდ გამოიყენება ისეთი კოგნიტური მოდელები, როგორიცაა ფრეიმები და სცენარები. (Bell/ბელი,1990) (Neimeyer/ნეიმეიერი, გვ. 115-121) (Bell/ბელი, 1988, გვ.72-78) (Schreiber ,Akkermans ,Anjewierden ,Hoog ,Shadbolt ,Velde and Wielinga /შრაიბერი,აკერმანსი, ანჯევირდენი, ჰუგი, შადბოლტი, ველდე & ვილინგა 2000, გვ. 145-163)

კონცეპტ-ფრეიმი წარმოდგენლია სიტყვის მნიშვნელობაში. სიტყვა ასოციაციურ კავშირშია სხვა სიტყვებსა და ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან. (Курьякова /კურიაკოვა 1994, გვ. 89-106) ფრეიმის თაობაზე არსებულ მოსაზრებათა შეჯამების გზით, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი განმარტება: ფრეიმი წარმოადგენს მოცულობით, მრავალკომპონენტთან კონცეპტს, თემატურად მთლიანობრივ, სტერეოტიპულ ცოდნას რაიმე სიტუაციის შესახებ.

სემანტიკური ანალიზის მიზანი სიტყვის ახსნაა, კონცეპტუალური ანალიზისა კი - სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის რეპრეზენტაცია. ლექსემას ახასიათებს სემანტიკა, კონცეპტს კი - შინაარსი. (Goddard ,Wierzbicka /გადარტი, ვეჰბიკაია 1994) (Heit/ჰეიტი1997) (Lamberts, Shanks/ ლამბერტი, შანკსი გვ.76-78) (Курьякова /კურიაკოვა 1992, გვ. 65-74)

ლექსემათა სემანტიკა იყოფა სემანტიკურ კომპონენტებად, კონცეპტის შინაარსი კი - კონცეპტუალურ ნიშნებად. (Jackendoff /ჯაკენდოფი, 1983)

ანალიზი, რომელიც მიმართულია „სიტყვის სემანტიკიდან კონცეპტის შინაარსისაკენ“ უზრუნველყოფს კონცეპტუალური ნიშნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. თეორიულ ლინგვისტიკაში სიტყვის მნიშვნელობისა და ცნების პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე რთულია.

ვ. ა. ზვეგინცევი შემდეგნაირად ხსნის მნიშვნელობას და ცნებას შორის არსებული განსხვავების საფუძველს: „ცნების ფორმირებაში მონაწილეობას იღებს, ასე ვთქვათ, ორი ძალა: საგანი და აზროვნება, ხოლო სიტყვის ფორმირებაში კი - სამი ძალა: საგანი, აზროვნება და ენის სტრუქტურა. (Звегинцев /ზვეგინცევი, 1996) არსებობს თვალსაზრისი, რომ მნიშვნელობები გარკვეულწილად დამოუკიდებელია ენისგან (ვეჟბიცკაია). არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც: ენობრივი საშუალებების მნიშვნელობები ტოლია მათში გამოხატული კონცეპტუალური სტრუქტურებისა. (Jackendoff /ჯაკენდოფი, 1992) თუმცა, ორივე თვალსაზრისი თანხმდება იმაში, რომ დასაშვებია მნიშვნელობა „გაიგივდეს კონცეპტთან“. ე. ს. კუბრიაკოვა თვლის: სიტყვის მნიშვნელობა - ეს არის კონცეპტი „დაჭერილი ნიშნით“ ნიშანი კი - სიტყვაა (Курякова /კუბრიაკოვა 1991, გვ.28-34) კოგნიტურ ლინგვისტიკაში მნიშვნელობები გააზრებულია როგორც კოგნიტური სტრუქტურები, რომლებიც ჩართულია ცოდნისა და აზრების მოდელებში (Barsalou /ბარსელოუ, 1992) (Markus ,Kitayama /მარკუსი, კიტაიამა 1991, გვ.145-153) ენა აბსტრაქტული, განზოგადებული აზროვნებისა და ადამიანის შემეცნების რაციონალურ საფეხურია. ამდენად, ენის როლის საკითხი შემეცნების პროცესში წარმოადგენს ნებისმიერი ფილოსოფიური სისტემის გნოსეოლოგიის შემადგენელ ნაწილს.

ლინგვისტიკაში ენის სისტემის განმსაზღვრელი როლის კვლევა აზროვნების სისტემის მიმართ დაკავშირებულია ბ. ჰერდერისა და ვ. ფონ ჰუმბოლდტის სახელებთან. ჰერდერი ენას „ხალხის სარკედ“ მიიჩნევს, ხოლო ჰუმბოლდტი და მისი მიმდევრები თვლიან, რომ ენაში ვლინდება „ერის სულის“ მოღვაწეობა, ენაში ძვეს განსაკუთრებული მსოფლხედვა და აზროვნების თავისებური სტილი.

ენაში ვ. ფონ ჰუმბოლდტი ხედავს ძალას, რომელიც აყალიბებს ერის აზროვნებას. ერის აზროვნებაში ვლინდება მისი ეროვნული სულის თავისებურება. ენა თავად ქმნის სამყაროს ხატს, შესაბამისად, ენათა შორის არსებული სხვაობა წარმოშობს სამყაროზე არსებულ თვალსაზრისთა სხვაობას. ენა წარმოადგენს ერის სულის გამოხატულებას.

ადამიანთა მიერ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა ფიქსირდება ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაში. აღნიშნული სისტემის ათვისების პროცესში, ადამიანი ითვისებს ენაში განზოგადებულ ადამიანურ გამოცდილებას. იგი არ იგონებს სიტყვათა მნიშვნელობას - იგი ითვისებს უკვე მზა, დორსა და სივრცეში დადგენილ მნიშვნელობათა სისტემას, მშობლიურ ენაში მოცემულ საკლასიფიკაციო სისტემას. (Fodor /ფოდორი 1963, გვ.170- 210)

სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო ძალუმს ენას ადამიანის შემეცნებისა და მოღვაწეობის პროცესზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა. (Putnam, Mind /პატნემი, მაინდი 1975, გვ. 367-372) (Radden/რადენი, 1992, გვ. 289-296)

განიხილავს რა „ენის შინაარსობრივ ელემენტებს“, სეპირი წერს: „ლექსიკა ერის კულტურის მეტად მგრძობიარე მაჩვენებელია, ხოლო მნიშვნელობათა ცვლილება, ძველ სიტყვათა დაკარგვა, ახალთა შექმნა ან სესხება დამოკიდებულია თავად კულტურის ისტორიის თავისებურებაზე. ენები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ლექსიკის თავისებურებით. სხვაობა, რომელიც, გვეჩვენება გარდაუვლად, შეიძლება, უგულვებელყოფილ იქნას იმ ენების მიერ, რომლებიც ასახავენ აბსოლუტურად სხვა ტიპის კულტურას. ამასთანავე, ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, შესაძლოა, ყურადღება მიაქციოს იმ სხვაობას, რომელიც ჩვენთვის გაუგებარია“ (Звегинцев /ზვიგინცევი, 1996)

თავი II. „სილამაზის“ ლექსიკურ-სემანტიკური და კონცეპტუალური სივრცეები

2.1. „სილამაზის“ ცნება დროსა და სივრცეში

ფიზიკური მომხიბვლელობა (მისი შეფასება, განსაზღვრა, აღქმა) უნივერსალური ცნებაა, რომელიც დამახასიათებელია ნებისმიერი კულტურისთვის ნებისმიერ ეპოქაში. ფიზიკური მომხიბვლელობაში იკვეთება ძირითადი, სტაბილური კომპონენტები (მაგ. ჰარმონიულობა), დანარჩენი მახასიათებლები კი ცვლადია დროსა და სივრცეში:

ძველ ეგვიპტე: ქალური სილამაზის იდეალი იყო მოგრძო სახის ტანმადალი ქალი, რომელსაც არ უნდა ჰქონოდა დიდი მკერდი - ეს სიმახინჯედ ითვლებოდა. თემოები უნდა ყოფილიყო გამხდარი, ხოლო ფეხები - რაც შეიძლება გრძელი. რაც შეეხება სახეს, ქალს უნდა ჰქონოდა დიდი ტუჩები და გამოკვეთილი თვალები. ამისთვის ქალები მუქ კონტურს ხმარობდნენ. რაც შეეხება თმას სხეულზე, იგი არ უნდა ჰქონდათ არც ეგვიპტელ მამაკაცებს და მითუმეტეს ქალებს.

მაიას ტომი: იმისათვის, რომ ყოფილიყვნენ მომხიბვლელები, მაიას ქალები იკეთებდნენ ტატუებს სხეულზე. ისინი იღებავდნენ სახეს წითელი საღებავით. მაიას ხალხი მზეს სცემდა

თავყანს, ამიტომ ქალები ცდილობდნენ მზეს დამსგავსებოდნენ. ქალური სილამაზის იდეალი იყო მრგვალი სახე და რაც შეიძლება პატრა ცხვირი. იმისათვის, რომ მაიას ტომის ხალხს ჰქონოდა მრგვალი სახის ფორმა, ახალდაბადებულ ბავშვს თავზე არგებდნენ ხის სპეციალურ მოწყობილობას, რაც ახდენდა ჩვილის თავის ქალის დეფორმირებას და ანიჭებდა მას მრგვალ წრისებურ ფორმას. მაიას ხალხი ასევე იცლიდა კბლებს და მათ ადგილზე ისვამდა ძვირადღირებულ ქვებს. ეს არა მარტო სილამაზეს უსვამდა ხაზს, არამედ მათ სოციალურ სტატუსსაც.

ძველი ჩინეთი: ჩინელების მოსაზრებით, ქალს უნდა ჰქონოდა ძლიან პატარა, მინიატურული ფეხი. არც ერთი ჩინელი მამაკაცი ცოლად არ მოიყვანდა გოგოს, რომელსაც ექნებოდა ჩვეულებრივი ზომის ფეხი. ფეხის ზომის შესამცირებლად სპეციალურ ხერხებს მიმართეს სუნის დინასტიის მმართველობის პერიოდში (X დან XIII საუკუნებმდე).

ამ დინასტიის ერთ-ერთმა იმპერატორმა უბრძანა თავის ქვეშედგომს, შემოეხვია ვერცხლის ფირფიტა, ჩაეცვა ლოტოსის ყვავილის მსგავსი ოქროს ფეხსაცმელი და ეცეკვა მისთვის. ამ დღიდან მოყოლებული ფეხზე ასეთი „მოწყობილობის“ ტარება მოდაში შემდოვიდა. საქემე ისაა, რომ როცა ადამიანს ფეხზე ასეთი რამ უკეთია, მის ფეხს არა აქვს ბუნებრივი ზრდის საშუალება - იგი დეფორმირდება. თუმცა ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. მთავარი იყო, ქალს ჰქონოდა ლოტოსის მსგავსი ფეხის ტერფი. ქალებს გამოსავალი არ ჰქონდათ - თუ უნდოდათ ოდესმე მაინც გათხოვილიყვნენ ან არ დამსაგვესებდნენ მდაბიოთ, მათ უნდა შეესრულებინათ იგივე პროცედურა. აღსანიშნავია, რომ უბრალო ხალხს ეკრძალებოდა ლოტოსის ფეხის ქონა. ეს ტანჯვა მხოლოდ მაღალი კლასის ქალებისთვის იყო განკუთვნილი. იაპონია: იაპონელებისთვის მით უფრო ლამაზია ქალი, რაც უფრო მოკლებულია ქალურობას. მათი აზრით, ქალის სხეული ნებისმიერ ასაკში უნდა ჰგავდეს მოზარდის სხეულს. ადრე იაპონიაში მოდაში იყო სახის წრისებური მოყვანილობა და პატარა ზომის თვალები. დროთა განმავლობაში ეს სტანდარტი შეიცვალა სახის მსხლისებური მოყვანილობითა და უფრო დიდი, მრგვალი თვალების ფორმით. ტუჩები უნდა ყოფილიყო შევსებული.

ევროპა: ძველი ბერძნების წარმოდგენები ქალის იდეალურ გარეგნობაზე ასახულია აფროდიტეს ქანდაკებაში. ბერძნების აზრით, ქალს უნდა ჰქონოდა ოდნავ წინ წამოწეული ცხვირი და დიდრონი თვალები.

ძველი რომაელები კი თვლიდნენ, რომ ქალს სრულყოფილებამდე აკლდა ფერმკრთალი კანი და ნათელი თმა. მათ აღმოაჩინეს თმის გაღიაგების საშუალება.

შუა საუკუნეებში ევროპელი ქალის მთავარი ღირსება მისი ავადმყოფური სიფერმკრთალე იყო. ასევე სასურველი იყო ყვითელი კბილების ქონა, რადგან მის ფონზე კანი კიდევ უფრო თეთრი ჩანდა. თეთრი კანის მოდაში ყოფნა გაგრძელდა საკმაოდ დიდხანს, სამამ ქალბატონმა შანელმა ოქროსფერად გარუჯული კანის ბუმი არ მოსდო მთელს ევროპას. მავრიტანია: მავრიტანია სილამაზის თავისებური აღქმით გამოირჩევა. სილამაზის მთავარი კრიტერიუმი სიმსუქნეა. რაც უფრო მსუქანია ქალი, მით უფრო მიმზიდველია. ისეთ ღარიბულ ქვეყანაში, როგორც მავრიტანიაა, სიმსუქნე სიმდიდრის, ჯანმრთელობის, ბევრი შვილების და პრესტიჟის ნიშანია. სიმსუქნე – წარმატებული ქორწინების წინაპირობაა. „გავაჟე“ –ეს არის აფრიკული ტრადიცია, რომლის მიმდევრებიც თავიანთ პატარა გოგონებს ბავშვობიდანვე ასუქებენ. უმეტეს შემთხვევაში ეს იძულებით ხასიათს ატარებს. მავრიტანიაში გასასუქებელი ძირითადი საკვები პროდუქტი ახლამოწველილი ძროხის რძეა. გულისრევამდე მისულ ატირებულ ბავშვებს აიძულებენ, ბოლომდე დალიონ საკმაოდ მოზრდილი რძიანი ჯამები. მათ მომავალზე „მზრუნველი“ დედები ხშირად აწამებენ კიდევ საკუთარ შვილებს – ჯოხებით ფეხებს უკრავენ და აუტანელ ტკივილს აყენებენ, სანამ ჯამი არ დაიცლება.

ერთ–ერთი ასეთი დედის თქმით, გოგონების გასუქება მათივე სასიკეთოდ ხდება, რათა ისინი გახდნენ მიმზიდველი მამაკაცებისთვის და იზოვონ კარგი ქმარი. გოგონების გასუქებას იწყებენ 5–7 წლიდან, რათა მათ გათხოვებამდე მოასწრონ სასურველ წონამდე ასვლა. სილამაზის სტანდარტები ყოველთვის განსხვავებულია, კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელი ფასეულობებზე დაყრდნობით. სილამაზის სტანდარტები ვარიანტურია, თუმცა, ძირითადი თვისებები, რომელიც თითქმის ყველა დროის სილამაზის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, არის პროპორციული სხეული, ახალგაზრდულობა და გლუვი კანი. ფიზიკური სილამაზის მკვეთრი განმსაზღვრელი არის საშუალოობა და კონოფილია.

საშუალოობა შემდეგს გულისხმობს: ადამიანებს მიაჩნიათ ლამაზად საკუთარი რასისთვის დამახასიათებელი გარეგნობის მქონე ადამიანები. საშუალოობა წარმოადგენს პოპულაციისთვის დამახასიათებელ საშუალო ფენოტიპს (გარეგან ნიშან-თვისებას), რომელიც შესაბამისად განპირობებულია საშუალო გენოტიპით. საშუალოობა მჭიდრო კავშირშია კონოფილიასთან.

კონოფილია ბიოლოგიური ტერმინია და გულისხმობს, რომ ორგანიზმი (ადამიანი), სექსუალურ პარტნიორად უპირატესობას ანიჭებს უმეტესად ჩვეულებრივი (პოპულაციისთვის დამახასიათებელი) გარეგნობის მქონე ადამიანს, ვიდრე ექსტრაორდინალური და განსხვავებული გარეგნობის მქონეს.

პითაგორასეული სკოლა (ძველ საბერძნეთში) მიიჩნევდა მჭიდრო კავშირს სილამაზსა და მათემატიკას შორის. პლატონი მიიჩნევდა, რომ სილამაზის იდეა ყველა სხვა იდეაზე უფრო მაღლა იდგა. არისტოტელე ხედავდა კავშირს სილამაზესა და სათნოებას (virtue) შორის. სილამაზის აღქმა და მისადმი დამოკიდებულება დროთა სვლის მანძილზე თანდათან იცვლება და იხვეწება. სილამაზის აღქმა არ გულისხმობს აბსოლიუტურ, სამუდამო იდეალს, არამედ ისევე ექვემდებარება დროის გავლენას ანუ მოდას, როგორც ადამიანის ცხოვრების ბევრი მხარე. ჩვენს დროში მოგვწონს და ლამაზად მივიჩნევთ ნაზ, გამხდარ ფიგურებს. წლების წლის წინ არც კი ვიფიქრებდით, რომ გამძვალტყავებული მუხლები სილამაზესთან იქნებოდა ასოცირებული. ჩვენ თვითონ საოცრად სწრაფად ვადგენთ სტანდარტებს და სწრაფადვე ვექცევით მათი გავლენის ქვეშ. დღეს ჩვენს არსენალში საკმაოდ მდიდარი ისტორიული გამოცდილებაა დაგროვილი კულტურული ტრადიციების განვითარების და ურთიერთგავლენის საქმეში.

ძველ საბერძნეთში ფიზიკური სილამაზე სულიერს უტოლდებოდა. ბერძნები ლამაზ ქალს ცხენს ადარებდნენ. მრგვალი სახე და პატარა ცხვირი კეთილშობილი ჯიშის ნიშნად იყო მიჩნეული.

არისტოტელე ფიქრობდა: ”თუ დაბალი კაცი მაინც შეიძლება ვაჟკაცურად გამოიყურებოდეს, დაბალი ქალი არასოდეს გამოიყურება ლამაზად”.

აღმოსავლეთის ქვეყნებში სილამაზის ნიშნად პატარა დეფორმირებული ტერფები ითვლებოდა, ე.წ. ლოტოსის ფეხები. აღმოსავლელი ქალები სილამაზის ამ უცნაურ ტენდენციას მსხვერპლად ეწირებოდნენ.

ძველი ეგვიპტელი ქალები კი ცდილობდნენ წერწეტა, მოქნილი პაპირუსის ღეროს დამსგავსებოდნენ.

გოთიკური პერიოდის საფრანგეთში მცხოვრებ ქალიშვილებს ეცვათ სულის შემხუთველი ვიწრო კორსეტები, იპარსავდნენ თმას შუბლიდან, რათა შუბლი უფრო მაღალი გამოჩენილიყო.

შუა საუკუნეების ფრანგებმა უამრავი შესანიშნავი ტილო დაგვიტოვეს, რომლებზეც ხორცსავსე, რენესანსის ეპოქის ქალბატონებია გამოსახული.

გამხდარი ქალის, უსისხლხორცო ანუ ”უნისექსის” სტილის წინამორბედი იყო ტვიგი, 60-იანი წლების სიმბოლო, გოგონა – ლერწამი მელანქოლიური მზერითა და არარეალური პროპორციებით.

რა თქმა უნდა, კულტურა ყოველთვის როდი იყო ჰუმანური ქალების მიმართ. დავაკვირდეთ საფრანგეთის გოთიკური პერიოდის პირქუშ არქიტექტურას. ასეთ კომპლექსში ვიწრო ფანჯრებს მიღმა მთელ თავის სიცოცხლეს ატარებდნენ ქალიშვილები მაღალი წრიდან. მათ ეცვათ სულის შემხუთველი ვიწრო კორსეტები, იპარსავდნენ თმას შუბლიდან, რათა შუბლი უფრო მაღალი გამოჩენილიყო, ისინი ამაცობდნენ გაფითრებული სახით და ხშირად ეცემოდნენ გულწასულნი, გრძნობათა სიჭარბისგან – ესეც მოდაში იყო.

ადამიანის სილამაზე მისი მახასიათებელია, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში იქმნება მისი შინაგანი და გარეგანი სილამაზის კომბინაციით. შინაგან სილამაზეს წარმოადგენს ფსიქოლოგიური ფაქტორების ჯამი (ინდივიდუალურობა, ტიპი, ინტელექტი, გრაციოზულობა, ზრდილობა, ქარიზმა, პატიოსნება, ელაგანტურობა). გარეგანი სილამაზე კი არის ფიზიკური მომხიბვლელობა, ჯანმრთელობა, ახალგაზრდულობა, სიმეტრიულობა, კანის მდგომარეობა.

2.2. სილამაზისა და მშვენიერების ცნებები

ფილონის მიმდევარი კლიმენტ ალექსანდრიელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „ჭეშმარიტი მშვენიერების“ ცნებას, რომელიც თავის მხრივ თავის თავში შეიცავს სილამაზის იდეას და მატერიალური სინამდვილის სილამაზეს. კლიმენტ ალექსანდრიელმა შუა საუკუნეების არა ერთი ჩვეულების, მათ შორის, ქალის კოსმეტიკის კრიტიკით, ფაქტობრივად დააყენა საკითხი გამოყენებითი ესთეტიკის შესახებ და, აგრეთვე, წინ წამოსწია „ესთეტიკური გემოვნების“ პრობლემა (<http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe>).

ადრექრისტიანულ პერიოდში ქრისტიანი მოაზროვნეები „სილამაზისა“ და „მშვენიერების“ ესთეტიკური კატეგორიების გაგებაში არც თუ ისე შორდებოდნენ ანტიკურ ტრადიციას. ასე მაგალითად, აპოლოგეტებს ხილული სინამდვილე წარმოედგინათ, როგორც მშვენიერი, რადგანაც იგი შექმნილია ღმერთის მიერ. ტერტულიანეს აზრით, „სამყარო არის ღვთაებრივი ძლევამოსილების გამოხატულება“. ტერტულიანეც, იუსტინიანე ფილოსოფოსიც და სხვა

მოაზროვნეებიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ სხეულებრივ სილამაზეს. მაგრამ ბიზანტიელებთან „აბსოლუტური სილამაზის“ გაგება განსხვავდება ანტიკურისგან. ავტორის შენიშვნით, მაგალითად, არეოპაგიტკაში „აბსოლუტური სილამაზე“ წარმოადგენს ყოველგვარი შემოქმედების, სიყვარულის, ჰარმონიის... (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 1985).

ფაქტობრივად, ეს ნიშნავს აბსოლუტური იდეის გამოვლენას არეოპაგიტული მოძღვრების მშვენიერების სფეროში. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პუნქტში არეოპაგიტული მოძღვრების ავტორი მიჰყვება პლატონის ფილოსოფიას.

საინტერესოა მშვენიერების კატეგორიის განხილვა ფსიქოლოგიური ეფექტის თვალსაზრისით. ასე მაგალითად, ბასილი დიდისთვის სილამაზე არის ის, რაც იზიდავს ყველაფერს, ხოლო უგვანობა იწვევს ზიზღს.

სილამაზისა და მშვენიერების კატეგორიებთან ერთად, ბიზანტიელი მოაზროვნეებისთვის მნიშვნელოვანი იყო სინათლის ფენომენიც. ფილონის ესთეტიკაში ოპოზიცია -

„სინათლეწყვდიადი“ თავი თავში ატარებდა სამ სემანტიკურ დატვირთვას: გნოსეოლოგიურ დონეზე - „ცოდნა-არცოდნა“, ეთიკურ დონეზე - „სიკეთე-ბოროტება“, ესთეტიკურ დონეზე - „მშვენიერება-უგვანობა“ (<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>).

პლატონის ყოველმხრივი აღზრდა სრულქმნილ იდეალურ ადამიანზე კლასიკური ანტიკურობის შეხედულებებს, ანუ ე.წ. კალოკაგატოსს (მშვენიერი - ცალოს და კარგი - აგატოს) შეესატყვისებოდა (<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>).

ადამიანში უმწიკვლო სხეულის ფიზიკური სილამაზე და შინაგანი, ზნეობრივი კეთილშობილება უნდა შენივთებულიყო. ასეთ „კალოკაგატურობის“ მიღწევა მხოლოდ ვარჯიშითა და განათლებით, ადრეულ ასაკიდანვე აღზრდის შედეგად არის შესაძლებელი. კალოკაგატია - იდეალია, რომლისკენაც თავისუფლად შობილი ადამიანი ილტვოდა, რათა, მზადმყოფი, მშობლიური ქალაქის ინტერესების საგუშაგოზე დამდგარიყო, იარაღით დაეცვა იგი, მის კანონებს დამორჩილებოდა და თავისი საქმეებით სახელი გაეთქვა მისთვის.

სრულქმნილი ადამიანის იდეალს ძველი ბერძენი პოეტები და მწერლები ოდითგანვე უმღერდნენ. ჯერ კიდევ პოეტი საფო წერდა: „მშვენიერება (კალოს) გვიხიბლავს მზერას, ის, ვინც კარგია (აგატოს) თავისთავად მშვენიერია“. ადამიანის შინაგანი ლამაზი სულის ძალას გულისხმობდა ბრძენქალი, ურომლისოდაც გარეგანი, ფიზიკური სილამაზე უაზრობაა და

უმინაარსოც; შინაგანისა და გარეგნულის ჰარმონია დრომოჭმული ზნეობის მოსაწყენ ერთფეროვნებას როდი ნიშნავდა. პირიქით, ადამიანის ხასიათის განსხვავებული, ერთურთსაპირისპირო თვისებები მხოლოდ ჰარმონიის ინსტიტუტს ქმნის. ფილოსოფოსი ჰერაკლიტე წერდა: „ფარული ჰარმონია აშკარაზე უფრო ძლიერია, ხოლო შეუთავსებელი თავსდება, სხვადასხვა ტონიდან მშვენიერი ჰარმონია წარმოიქმნება და ყოველივე ბრძოლით წარმოიშვება, გრძნობათა და ვნებათა, ერთგულებისა და სიყვარულის ურთიერთჭიდილში ბრძენი, ბოლოსდაბოლოს, გაწონასწორებულ ადამიანად ჩამოყალიბდება, რომელმაც დაიმსახურა პოეტ სიმონიდე კეოსელის სახელწოდება „ოთხკუთხა“ (ტეტროგონოს) ანუ: ვისაც ყველა უნარი თანაბრად აქვს განვითარებული. (<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>).

პლატონის ესთეტიკის საფუძველია მოძღვრება იდეათა შესახებ; იდეათა ერთიან სისტემაში მოიაზრება პლატონის მიერ მშვენიერების იდეაც. რეალური საგნები და ასევე ხელოვნება (საგანთა ხელოვნებისეული ასახვა) იდეათა პირველადი სამყაროს ანარეკლებია.

პლატონის ფილოსოფია სრულად ვლინდება შემდეგ დიალოგში:

– მაშასადამე, თუ ზნეკეთილ კაცში ერთმანეთს ერწყმის სულიერი და ხორციელი სილამაზე,
– ხოლო ორივე ეს სილამაზე ერთი და იმავე წყაროდან იღებს დასაბამს, – რა შეიძლება იყოს უფრო მშვენიერი სანახაობა იმისათვის, ვისაც ამ მშვენიერების დანახვა ძალუძს?

– არაფერი.

– მაგრამ ყველაზე მშვენიერი ხომ, იმავდროულად, ყველაზე უფრო საყვარელია?

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, ყველაზე მეტად სწორედ ამნაირ ადამიანს შეიყვარებდა მუსიკური ხელოვნების მიმდევარი, და არა იმას, ვის არსებაშიც ჰარმონიულად არ ერწყმის ერთმანეთს სულიერი და ხორციელი მშვენიერება.

– რა თქმა უნდა, არა, თუ ეს დისჰარმონია სულიერი მანკიერების შედეგია, რასაც ვერ

ვიტყვიტ იმ შემთხვევაში, თუ ამის მიზეზად რაიმე ფიზიკური ნაკლი გვევლინება

(<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>).

პლატონის – „ნადიმში“ აღწერილია ანტიკური სიმპოზიუმი. თითოეული მონაწილე საკუთარ სადღეგრძელოში წარმოადგენს საკუთარ კონცეფციას, მშვენიერებისა და ხელოვნების არსების შესახებ. შემდეგ კი იმართება კამათი, დიალოგი.

იქ ღრმად არის გააზრებული მშვენიერების ფენომენი და ისმის კითხვა, თუ რას ეწოდება – „მშვენიერება“.

მოკამათენი მივლენ დასკვნამდე, რომელიც არის პლატონის ფილოსოფიის ღერძი: – მშვენიერების არსება არის ცალკეულ მშვენიერ საგანთა მიღმა – მშვენიერება, თავისთავად, მშვენიერის იდეაა, მშვენიერების პირველადი, იდეალური, მარადიული სახე, ხოლო ხელოვნება არის მშვენიერების იდეის უკუფენა და განფენა მის გრძნობად მისაწვდომობაში.

„ნადიმში“ მშვენიერების იდეის წვდომა უზენაესის წვდომის რანგში განიხილება, ესთეტიკური სიამოვნების ადგილს იჭერს – სიყვარული – „პლატონური ეროტიკა“.

მშვენიერების იდეის მედიტაცია გრძნობას აესთეტიკურებს, გრზნობას განწმენდს ორგანული ფუნქციისგან, შეზღუდულობისა და პირობითობებისგან.

„სილამაზისა“ და „მშვენიერების“ ცნებათა ანალიზი ანტიკური ესთეტიკის სფეროში უნდა ვეძიოთ. (<http://www.qwelly.com/group/psychology/forum/topics/xelovnebis>). როგორც ცნობილია, ანტიკური ესთეტიკა ჩვენს ერამდე VI ს. იქმნებოდა და უმაღლეს განხორციელებას V-IV საუკუნეებში მიაღწია. მის ადრეულ წარმომადგენლებად ჰერაკლიტეს, პითაგორასა და დემოკრიტეს ასახელებენ.

დემოკრიტესგან განსხვავებით, რომელიც მშვენიერების ობიექტურ პირობად კოსმიურ, სოციალურ და ანთროპულ (სამყაროს, საზოგადოებისა და ადამიანის შინაგან) წესრიგს, სიმწყობრესა და ჰარმონიას აღიარებს, პითაგორა სუბსტანციურ მშვენიერებას განყენებულ რიცხვით მიმართებებსა და "რიცხვთა ჰარმონიაში" მოიძიებდა. პითაგორას შეხედულებათა მიხედვით, რიცხვთა ჰარმონია კოსმიურ მუსიკასთანაა კავშირში; მუსიკაში განხორციელებული ღვთაებრივი წესრიგი სამყაროს, უნივერსუმს, "ციურ სფეროებს" მოიცავს.

აღორძინების ჰუმანიზმი და ანთროპოცენტრიზმი ადამიანის მეცნიერული შესწავლის მძლავრ სტიმულად იქცა. ბალთასარე კასტილიონე "ტრაქტატში იდეალური კარისკაცის შესახებ" აღორძინებისეულ იდეალს, სხეულითა და სულით მშვენიერ ადამიანს ხატავს. იქმნება "ტრაქტატი ქალი სილამაზის შესახებ" (ფირენცუოლა).

ესთეტიკას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას მშვენიერების შესახებ ისტორიულად ბედი არ წყალობდა. მართალია პლატონთან სიკეთის იდეა ჭეშმარიტებასთან ერთად მშვენიერებაცაა, მაგრამ მშვენიერება მხოლოდ თანმხლებია სიკეთის, აქედან გამომდინარე მას არ გააჩნია დამოუკიდებლობა. მშვენიერს მხოლოდ დაქვემდებარებული ფუნქცია ქონდა

და მის ასახვას ხელოვნების ნაწარმოებში პლატონი ასახვის ასახვად თვლიდა და უარყოფითად აფასებდა (<https://fabriktbilisi.wordpress.com>). ლაიბნიც-ვოლფის სკოლაშიც იყო მცდელობა, რომ მშვენიერების შესახებ მოძღვრება დამოუკიდებელ მეცნიერებად ექციათ, ხელოვნების ფენომენებისადმი დამოკიდებულება გონების პრინციპებისათვის დაექვემდებარებინათ. ბაუმგარტენი შეეცდებოდა ამ საფუძველზე ააგოს ესთეტიკა, როგორც ცალკე მეცნიერება და ამ ტერმინსაც პირველი იხმარს თანამედროვე მნიშვნელობით.

კანტი პირველად მშვენიერების შესახებ ნაშრომს 1764 წელს აქვეყნებს,

სახელწოდებით: „დაკვირვებანი მშვენიერისა და ამაღლებულის გრძნობის შესახებ.“ წმინდა გონების კრიტიკაში (1781) კანტი არ ეჭვობს, რომ მშვენიერების კრიტიკული შეფასება არასოდეს გახდება მეცნიერება. ამ ნაშრომში კანტი ტრანსცედენტალურ ესთეტიკას უწოდებს მოძღვრებას *ცდის საგნების მოცემის აპრიორული პირობების შესახებ* და აქვე დასძენს:

„გერმანელები ერთადერთი ხალხია, რომელიც სიტყვა ესთეტიკას ხმარობს იმის აღსანიშნავად, რასაც სხვები გემოვნების კრიტიკას უწოდებენ. ამის საფუძველია გაცრუებული იმედი, რომლით განმსჭვალული შესანიშნავი ანალიტიკოსი ბაუმგარტენი ცდილობდა, რომ მშვენიერების კრიტიკული შეფასება გონების პრინციპებისათვის დაექვემდებარებინა და მისი წესები მეცნიერების დონემდე

აემალეებინა“ (<https://fabriktbilisi.wordpress.com>).

წმინდა გონების კრიტიკის პირველი გამოცემიდან თითქმის ათი წლის შემდეგ კანტი აქვეყნებს ნაშრომს სათაურით „მსჯელობის უნარის კრიტიკა“ (1790). გამოკვლევა იყოფა ორ ნაწილად, ესთეტიკური მსჯელობის კრიტიკა და ტელეოლოგიური მსჯელობის კრიტიკა. ესთეტიკური მსჯელობის კრიტიკა თავისმხრივ იყოფა კიდევ ორ ნაწილად, ესთეტიკური მსჯელობის ანალიტიკა და ესთეტიკური მსჯელობის დიალექტიკა.

კანტისთვის ეჭვგარეშეა, რომ საგანი მხოლოდ მაშინ შეიძლება მშვენივრად იწოდებოდეს, თუ მის შეფასებაში, მასზე მსჯელობის დროს ჩვენი განმსაზღვრელი არ არის არავითარი ინტერესი. მსჯელობა არ იქნება ესთეტიკური, თუ რაიმე მოგვწონს პრაქტიკული საჭიროების გამო. ესთეტიკური მსჯელობა უნდა იყოს კოლექტიური. *„მშვენიერია ის, რაც ცნებისგან დამოუკიდებლად აღიარებული იქნება, როგორც საყოველთაო მოწონების საგანი“* (<https://fabriktbilisi.wordpress.com>).

მსჯელობის უნარს კანტი საერთოდ განსაზღვრავს „როგორც უნარს, რომელიც განსაკუთრებულს იაზრებს ზოგადში შემავალად“. მსჯელობის განმსაზღვრელი საფუძველი

არის შეგრძნება, ამიტომ გემოვნების მსჯელობას ეწოდება ესთეტიკური მსჯელობა. ესთეტიკური მსჯელობის იდეის გასაგებად არსებითია იმის გათვალისწინება, რომ ის არის მსჯელობა ცნების გარეშე. ცნებას, ამ აზრით, მუდამ რაღაც შემეცნებითი მიმართება აქვს საგანთან და ობიექტებთან, ხოლო ეს უკანასკნელი არ ახასიათებს ესთეტიკურ ანუ რეფლექსურ მსჯელობას. ის შეიცავს ფორმალურ მიზანშეწონილებას ცნების გარეშე და ამით უკავშირდება სიამოვნების გრძნობას. ესთეტიკურ მსჯელობას, რამდენადაც ის რეფლექსურია პრეტენზია აქვს აბოსულუტურობაზე, მისთვის მთავარია, რომ ადამიანმა გარკვეული აპრიორული პრინციპებით შეაფასოს ის რასაც მშვენიერს ვეძახით.

„გემოვნება არის მშვენიერების შეფასების უნარი გემოვნების მსჯელობა არ არის კოგნიციური მსჯელობა, აქედან გამომდინარე არც ლოგიკური, არამედ ესთეტიკური, რაც ნიშნავს რომ მისი განმსაზღვრელი საფუძველი მხოლოდ სუბიექტური შეიძლება იყოს“ (<https://fabriktbilisi.wordpress.com>). ესთეტიკური მსჯელობა განსხვავდება რაციონალური მსჯელობისგან, ხელოვნებას არ შეუძლია რაიმე გვასწავლოს, მას არანაირი კავშირი არ აქვს გაგებასთან და არც შემეცნებასთან. მშვენიერის შეფასებისას არავითარი ინტერესი არ უნდა გვამოდრავებდეს საგნის მიმართ, რადგანაც ინტერესი არის ისეთი მიმართება, რომელიც დაინტერესებულია საგნის არსებობით, საგანი კი შეიძლება მშვენივრად იწოდებოდეს მხოლოდ მაშინ, თუ მის შეფასებაში მასზე მსჯელობის დროს ჩვენი განმსაზღვრელი არ არის არავითარი ინტერესი. მაგ: *„მეფის სასახლის შეფასების დროს შეიძლება ვთქვათ, რომ ის ხალხის ოფლითაა აშენებული, რომ ასეთი რამ არ უნდა არსებობდეს, რომ ასეთი ფუფუნება უაზროა და სხვა. ყველაფერი ეს სწორი იქნება, მაგრამ კანტის აზრით, ესთეტიკური იქნება შეფასება მხოლოდ მაშინ, როცა ყოველივე ამისგან გამოუკიდებლად ვიმსჯელებთ იმაზე მშვენიერია თუ არა სასახლე.“* მშვენიერის შეფასების დროს მხოლოდ ესთეტიკური ინტერესი უნდა გვქონდეს მხედველობაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, ამ იდეას იზიარებს ჰეგელიც. ხელოვნების მშვენიერების იდეაზე და ობიექტზე პრაქტიკული მიმართების შესახებ საუბრისას იგიაშობს: *„მშვენიერის განხილვის დროს ვნებიანი გულისთქმაც აგრეთვე უკან იხევს, სუბიექტი მოხსნის თავის მიზნებს ობიექტის მიმართ და განიხილავს მას დამოუკიდებლად თავის თავში, თვითმიზნად“* (<https://fabriktbilisi.wordpress.com>). ჰეგელი და კანტი თანხმდებიან იმაზე, რომ მშვენიერის შეფასების დროს სუბიექტი დაცლილი უნდა იყოს რაიმე პრაქტიკული მიმართებისაგან. მშვენიერი თვით თავის თავში უსასრულო და თავისუფალია, აქედან

გამომდინარე ის უნდა მოგვწონდეს, რაიმე სხვა საგანთან და სხვა ინტერესთან მიმართების გარეშე. „მშვენიერის განხილვა ლიბერალური ხასიათის არის, იგი საგნებს თავისუფალ გასაქანს მისცემს, რათა ისინი თავიანთ თავში თავისუფლად და უსასრულოდ წარმოსდგნენ: მშვენიერების განხილვა არ არის მათი ფლობის სურვილი და მოხმარება ბოლოვად საჭიროებათა და ზრახვათა დასაკმაყოფილებლად ვარგისი“ (<https://fabriktbilisi.wordpress.com>)

ჰეგელის თანახმად, მშვენიერ ობიექტში უნდა გამოვლინდეს, როგორც მისი ცნება და მიზანი ასევე მისი გარეგანი გარკვეულობა და რეალობა რომელიც იქნება არა სხვისგან არამედ თვით ობიექტისგან ნაწარმოები.

კანტი მოწონების სამ სახეს არჩევს. ა) საამო (Das Angenehme) – რაც ტკბობას იწვევს და შეიძლება ცხოველმაც მიიღოს გრძნობადად. ბ) მშვენიერი (Das Schöne) – რაც მხოლოდ მოგვწონს, რაიმე სხვა საგანთან და ინტერესთან მიმართების გარეშე. გ) კარგი (Das Gute) – რასაც ვაფასებთ, რასაც ობიექტურ ღირებულებას მივაწერთ და გვინდა რომ არსებობდეს. აქედან დაუინტერესებელია მხოლოდ მეორე და სწორედ მის საგანს ეწოდება მშვენიერი. კანტი აქვე აღნიშნავს იმასაც, რომ მშვენიერის აღქმის უნარი მხოლოდ ადამიანს გააჩნია და არა ირაციონალურ ცხოველს ან სხვა წმინდა რაციონალურ არსებას (rein rationale Wesen). თუ მშვენიერის მოწონება თავისუფალია ყოველგვარი ინტერესისგან, მაშინ ის საყოველთაო და აუცილებელი უნდა იყოს, მაგრამ ეს ცნების არსებობას გულისხმობს. კანტი კი ამბობს, რომ მშვენიერი უნდა იყოს ის, რაც ჩვენ წარმოგვიდგება ცნების გარეშე, ე.ი განსჯის კატეგორიის გარეშე, როგორც საყოველთაო მოწონების ობიექტი (<https://fabriktbilisi.wordpress.com>).

მშვენიერი საყოველთაოდ უნდა იქნეს აღიარებული იმდენად რამდენადაც, ის თავისთავად და თავისთვის ჭეშმარიტია, ის თავის თავში ატარებს განსაზღვრებას და მოთხოვნილებას რომ საყოველთაოდ სცნონ. ის არ დაიყვანება ზოგად ცნებებზე და ცალკეულ მოქმედებებზე, არამედ ის უშუალოდ აღძრავს საყოველთაო მოწონებას.

კანტის აზრით, ესთეტიკური მსჯელობა საყოველთაოა იმდენად რამდენადაც, ის არ რედუცირდება წმინდა პერსონალურ მოწონებაზე ან არმოწონებაზე, არ არსებობს არგუმენტები, რომლითაც რომელიმე ადამიანს შეუძლია სხვა დაარწმუნოს კონკრეტული ობიექტის მშვენიერებაში, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ ჩვენი ესთეტიკური განსჯა იქნება საყოველთაოდ აღიარებული, რამდენადაც ის უნარები რომლითაც ჩვენ განვსჯით მშვენიერ საგანს დამახასიათებელია სხვა ადამიანებისთვისაც.

კანტის „მსჯელობის უნარის კრიტიკა“ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ტექსტად ითვლება ფილოსოფიური ესთეტიკის ისტორიაში. სწორედ ამ ნაშრომში ჩნდება ესთეტიკის ცნება პირველად იმ აზრით, რა აზრითაც ჩვენ მას დღეს ვხმარობთ. თუმცა თავად კანტსაც ეგრედწოდებულ კრიტიკამდელ პერიოდში ესთეტიკა ესმოდა როგორც მოძღვრება გრძნობადი აღქმის შესახებ. მაგრამ დეკადის შემდეგ, მან თავად შეცვალა ესთეტიკის ასეთი განსაზღვრება და მას სხვა დეფინიცია მიანიჭა, სახელდობრ: თეორია გემოვნების შესახებ, რაც მოიცავს ხელოვნებისა და მშვენიერების სფეროს. კანტი „მსჯელობის უნარის კრიტიკაში“ განასხვავებს მშვენიერებას ხელოვნებისაგან და მშვენიერს, რომელიც შეიცავს ყველა არტისტულ პროდუქტს და ასევე ბუნების მშვენიერს, უფრო ფართო კატეგორიაში განიხილავს. აქედან გამომდინარე კანტისთვის ნაშრომის ცენტრალურ თემად სწორედ მშვენიერების ცნების დადგენა და განსაზღვრება იქცევა. ამგვარად ესთეტიკური მსჯელობა კანტს ესმის ისე, რომ იგი არ გამოდის არც განსჯიდან, როგორც ცნების უნარიანობიდან, და არც გრძნობადი მჭვრეტელობიდან და მისი მრავალფეროვნებიდან, არამედ განსჯისა და წარმოსახვის უნარის თავისუფალი თამაშიდან. მოწონება, რომელსაც სუბიექტი მიმართავს ობიექტზე, ყოველგვარი ინტერესის გარეშე უნდა იყოს და არავითარი დამოკიდებულება არ უნდა ქონდეს სურვილის უნართან. თუ საგნების მიმართ სუბიექტს გააჩნია გრძნობადი ინტერესი ან ცნობისმოყვარეობა, ან მოხმარების მძაფრი სურვილი, მაშინ საგნები მნიშვნელოვანია არა თავისთავად არამედ ჩვენი მიმართების გამო. ამ შემთხვევაში საგანი სუბიექტის მიერ განისაზღვრება. კანტი ამტკიცებს, რომ მშვენიერისადმი დამოკიდებულება ამგვარი არ არის და რომ ესთეტიკური მსჯელობის დროს საგანს მიზანი თავის თავში უნდა ქონდეს (<https://fabriktbilisi.wordpress.com>).

ესთეტიკური მსჯელობის დროს პრაქტიკული მიმართება საგნისადმი, როგორც კანტისთვის ასევე ჰეგელისთვის გამორიცხულია, სუბიექტმა უნდა მოხსნას თავისი მიზნები ობიექტის მიმართ და ის დამოუკიდებლად განიხილოს.

რატომ გვიზიდავს სილამაზე?

დღემდე ამოუხსნელია, როგორ აღიქვამს ადამიანი სილამაზეს. ბიბლია ამის შესახებ არაფერს ამბობს, თუმცა ერთ რამეს გვიმჟღავნებს — ადამიანს აქვს სილამაზის აღქმის უნარი და ეს იმიტომ, რომ ღმერთმა თავის ანარეკლად შეგვქმნა (დაბადება 1:27; ეკლესიასტე 3:11). მან აგრეთვე გვიბოძა ურთულესი აგებულების და გასაოცარი ფორმის სხეული. ამ ფაქტით

აღფრთოვანებულმა ფსალმუნმომღერალმა დაწერა: „ხოტბას შეგასხამ [ღმერთო], რადგან შიშს მინერგავს ის, თუ რა საოცრად ვარ შექმნილი“ (ფსალმუნი 139:14).

„თქვენი სილამაზე ნუ იქნება გარეგნობაში . . . არამედ იყოს შინაგან ადამიანში, რომელიც შემოსილია სიმშვიდითა და რბილი ხასიათით, ღვთის თვალში ძალიან ძვირფასი, უხრწნელი სამოსლით“ (1 პეტრე 3:3, 4).

ბიბლია „სად აზროვნებას“, ანუ გონიერებას მოკრძალებასთან აკავშირებს (1 ტიმოთე 2:9).

მოკრძალებული ადამიანი არც ზედაპირულია, არც პატივმოყვარე და არც საკუთარ გარეგნობას აქცევს მეტისმეტ ყურადღებას. ის არ ვარდება უკიდურესობებში და გაწონასწორებული შეხედულება აქვს თავის თავზე; აგრეთვე ითვალისწინებს სხვების გრძნობებს, რის გამოც მათ პატივისცემას და, რაც მთავარია, ღვთის მოწონებას იმსახურებს (მიქა 6:8).

მომხიბვლელობა შეიძლება მატყუარა იყოს, სილამაზე — ამაო, იეჰოვას მოშიში ქალი კი ქებას იმსახურებს (იგავები 31:30).

1 პეტრეს 3: 3-4

თქვენი მშვენება ნუ იქნება გარეგანი: თმის ნაწნავები, ოქროს სამკაულები ან ჩაცმულობა, არამედ დაფარული გულის ადამიანი უხრწნელი მყუდროებით და სულის სიმშვიდით, რაც ძვირფასია ღმერთის წინაშე.

1 მეფეთა 16:7

და უთხრა უფალმა სამუელს: „ნუ უყურებ მის გარეგნობას, ნურც მის ახოვანებას, რადგან მე განვაყენე იგი, რადგან უფალი ადამიანი როდია, რომ თვალადობით განსჯიდეს, არამედ გულს უყურებს კაცისას.

გალატელთა 3:26-27

რადგან თქვენ ყველანი ღმერთის შვილები ხართ ქრისტე იესოში რწმენით. რადგან, რაკი ყველანი მონათლეთ ქრისტეში, ქრისტეთი შეიმოსენით.

ეკლესიასტე 3:11

ყველაფერი, რაც ღმერთმა შექმნა, მშვენიერია თავისი დროის შესაფერად; და თუმცა მარადიულის შეცნობის უნარი მინიჭა მან კაცთა გონებას, მაგრამ ისე, რომ ვერ შეიცნოს ღმერთის ნამოქმედარის თავი და ბოლო.

ეზეკიელი 28:17-18

აღზევდა შენი გული შენი მშვენების გამო, დაღუპე შენი სიბრძნე შენი ამპარტავნების გამო; ამიტომაც მიწაზე დაგანარცხე, მეფეთა წინაშე დაგსვი გასამასხრებლად. შენი მრავალი ურჯულოებით, შენი ვაჭრობის უსამართლოებით შებღალე შენი საწმიდრები; და შენი შუაგულიდან ამოვიღებ ცეცხლს, რომელიც შეგჭამს შენ; და მე გაქცევ ნაცარ-მტვრად მიწაზე ყველა შენი მნახველის თვალწინ.

იაკობის 1:23

რადგან, თუ ვინმე ისმენს სიტყვას და არ ასრულებს, ჰგავს ადამიანს, რომელიც თავის ბუნებრივ სახეს სარკეში ათვალიერებს.

მათეს 23:28

ასევე თქვენც გარეგნულად მართლები ჩანხართ ადამიანთა თვალში, შიგნით კი თვალთმაქცობით და ურჯულოებით ხართ აღვსილნი.

იგავნი 31:30

მაცდურია მშვენიერება და ამაოა სილამაზე, უფლის მოშიში ქალი კი ქებულია.

იგავნი 11:22

ლამაზი, მაგრამ უგუნური ქალი იგივეა, რაც ღორის დინგზე წამოცმული ოქროს რგოლი
ესაია 40:8

ხმება ბალახი, ჭკნება ყვავილი, ჩვენი ღმერთის სიტყვა კი მარად რჩება.

დაბადება 1:27

და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად, ღვთის ხატად შექმნა იგი, კაცად და ქალად შექმნა ისინი.

1 ტიმოთეს 2:9

ასევე ქალებმაც თავი შეიმკონ უბრალო სამოსითა და წესიერებით, და არა თმის დაწვნით და ოქროთი, ან მარგალიტებით, ან ძვირფასი ტანსაცმლით.

ბიბლია არა ერთ მიზეზს ასახელებს, რის გამოც ნამდვილად ღირს, ძირითადი აქცენტი პიროვნულ, სულიერ თვისებებზე გადავიტანოთ (1 პეტრე 3:3, 4). შინაგან სილამაზეს დრო ვერაფერს აკლებს, პირიქით, დროის სვლასთან ერთად შეიძლება უფრო და უფრო მიმზიდველი გახდეს. იგავების 16:31-ში ვკითხულობთ: „ჭადარა სილამაზის გვირგვინია, როცა სიმართლის გზაზე იპოვება“. აქედან გამომდინარე, ყველა, ვინც ბიბლიურ რჩევას გაითვალისწინებს, მხოლოდ შინაგანად კი არ დამშვენდება, არამედ ღირსებისა და კმაყოფილების გრძნობასაც შეიძენს.

საერთოდ, რა არის მშვენიერი და რა - არა? ეს იუკიო მიშიმას რომანის „ოქროს ტამარი“ ამოსავალი საკითხია. „ნეტავ რატომ მიიჩნევენ ნაწლავებგადმოყრილ ცხედარს საშინელ სანახაობად? რატომ ვიფარებთ თვალეზზე ხელს შეძრწუნებულები, როცა ვხედავთ ადამიანის შიგნითა მხარეს?“ - სვამს ის ერთგან კითხვას და ასეთ პასუხს იძლევა: „განა ახალგაზრდა მზინვარე კანის სილამაზე და შიგნეულობა ერთი ბუნების არ არის? განა ბუნებრივი არ იქნება, ადამიანსაც ისევე შევხედოთ, როგორც ვარდს, რომელსაც არც შიგნეული და არც გარსი არ გააჩნია?“ მეორეგან იგი სილამაზეს ჭიან კბილს ადარებს, რომელიც „ენაზე გედება, არ გასვენებს, ტკვილს გაყენებს და თავის არსებობას გაგრძნობინებს. ბოლოს და ბოლოს, ტკვილს ვეღარ უძლებ და ექიმს ამოაღებინებ, სისხლით მოთხვრილ, ჭუჭყიან, ყავისფერ კბილს ხელისგულზე დაიდებ და აღმოგხდება: „ე-ეს? ნუთუ ეს იყო, რომ მტანჯავდა და განუწყვეტლივ თავის არსებობას მახსენებდა?“ ეს ფიქრები მიმართულია იქით, თუ რა სახით ჯობს არსებობდეს მშვენიერების ეტალონი, საერთოდ საჭიროა მისი ფიზიკური არსებობა თუ - არა.

2.3. „სილამაზის“ ლექსიკურ-სემანტიკური ველი თანამედროვე ინგლისურ ენაში

ნაშრომში კონსტრუირებული „სილამაზის“ ლექსიკურ-სემანტიკური ველის შემადგენლობა წარმოდგენილია ფრაზეოლოგიური ერთეულებით იგი შემდეგნაირად გამოიყურება:

„სილამაზის“ ლექსიკურ-სემანტიკური ველის შემადგენლობა თანამედროვე ინგლისურ ენაში beautiful, handsome, comely, lovely, fair, bonny, graceful, well-graced, well-favored, picturesque, pretty, nice, fine, nice-looking, delicate, dainty, refined, exquisite, elegant, noble, attractive, charming, captivating, bewitching, alluring, enchanting, fascinating, appealing, winsome, taking, sympathetic, likable, pleasant, pleasing, well-pleasing, agreeable, well-seeming, good-looking, well-looking, goodly, godlike, well-made, shapely, well-shaped, formful, clean-cut, clean-limbed, harmonious, melodious, musical, tuneful, eyesome, peachy, rosy, smart, tidy, natty, neat, trim, light, lightsome, splendiferous, splendid, tender, symmetric, well-proportioned, perfect, sublime, clean, polished, smooth, mellow, magnificent, splendid, grand, pompous, luscious, good, rich, glorious, gorgeous, admirable, wonderful, wondrous, fantastic, miraculous, marvellous

ბირთვი

სიტყვა-იდენტიფიკატორის სინონიმები

beautiful = handsome (ლამაზი, კობტა, მოხდენილი); beautiful = picturesque

(მშვენიერი, თვალწარმტაცი); beautiful = comely (სანდომიანი, ეშხიანი); beautiful = lovely

(მშვენიერი, ტურფა, საუცხოო, მომხიბლავი; საყვარელი, მიმზიდველი, სასიამოვნო,

სანდომიანი; წარმტაცი, თვალწარმტაცი); beautiful = fair (მშვენიერი, შესანიშნავი, ლამაზი);

beautiful = bonny (ლამაზი, მოხდენილი; კარგი); beautiful = graceful (გრაციოზული, კობტა,

ნარნარი, მოხდენილი; ელეგანტური); beautiful = well-graced (გრაციოზული, კობტა, ნარნარი,

მოხდენილი; ელეგანტური); beautiful = well-favoured (ლამაზი, კობტა, მოხდენილი)

Beautiful

“I hope she'll be a fool -- that's the best thing a girl can be in this world, a beautiful little fool.” F.

Scott Fitzgerald, *The Great Gatsby*

“Sometimes people are beautiful. Not in looks. Not in what they say. Just in what they are.” Markus

Zusak, *I Am the Messenger*

“The best and most beautiful things in the world cannot be seen or even touched. They must be felt with the heart”, Helen Keller

Handsome

“I require three things in a man: he must be handsome, ruthless, and stupid.” Dorothy Parker

“She is tolerable, but not handsome enough to tempt me, and I am in no humor at present to give consequence to young ladies who are slighted by other men.” Jane Austen, *Pride and Prejudice*

“He shall never know I love him: and that, not because he's handsome, but because he's more myself than I am. Whatever our souls are made out of, his and mine are the same.” Emily Brontë,

Wuthering Heights

“It's about time you showed some sense. You should be afraid.” "I'm shivering because I'm freezing."

"You're cute when you're afraid." I give him a dirty look. "Yeah, you're cute when you're afraid too."

"You mean I'm devastatingly handsome when I'm not afraid. Because you've never seen me afraid."

Susan Ee, *World After*

Picturesque

“Actual happiness always looks pretty squalid in comparison with the overcompensations for misery.

And, of course, stability isn't nearly so spectacular as instability. And being contented has none of the glamour of a good fight against misfortune, none of the picturesqueness of a struggle with temptation,

or a fatal overthrow by passion or doubt. Happiness is never grand.” Aldous Huxley, *Brave New World*

“At bottom every man knows well enough that he is a unique being, only once on this earth; and by no extraordinary chance will such a marvelously picturesque piece of diversity in unity as he is, ever be put together a second time.” Friedrich Nietzsche

“The photographer is an armed version of the solitary walker reconnoitering, stalking, cruising the urban inferno, the voyeuristic stroller who discovers the city as a landscape of voluptuous extremes. Adept of the joys of watching, connoisseur of empathy, the flâneur finds the world “picturesque.”

Susan Sontag, *On Photography*

ლექსიკურ-სემანტიკური ველის ბირთვი შედგება სიტყვა იდენტიფიკატორის სინონიმებისა და სიტყვა-იდენტიფიკატორთან I რიგის სემანტიკურ მიმართებაში მყოფი ელემენტებისაგან. ლექსიკურ-სემანტიკური ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და სხვადასხვა ელემენტს შორის არსებულ მიმართებათა სხვადასხვა ტიპი გულისხმობს სიტყვა-იდენტიფიკატორსა და სხვადასხვა ელემენტს შორის არსებული კავშირის სიმძლავრის სხვადასხვა ფორმას: სინონიმია ელემენტთა შორის არსებული კავშირის ყველაზე მძლავრი ფორმა, I რიგის სემანტიკური მიმართება - შედარებით სუსტი და ა.შ.

ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ჯგუფში შემავალ სხვადასხვა ელემენტებს შორის სხვადასხვა სიმძლავრის კავშირის ფორმათა არსებობა გულისხმობს სიტყვა-იდენტიფიკატორსა და სხვადასხვა ელემენტებს შორის სხვადასხვა, ასე ვთქვათ, სემანტიკური „მანძილის“ არსებობას. სხვანაირად კი, სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ელემენტს შორის არსებული სემანტიკური „მანძილის“ განსაზღვრა გულისხმობს მათ შორის არსებული სემანტიკური მიმართების ტიპის დადგენას. რაც უფრო ძლიერია კავშირი სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ელემენტს შორის, მით უფრო მცირეა მათ შორის არსებული სემანტიკური „მანძილი“ და პირიქით, რაც უფრო სუსტია კავშირი სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ელემენტს შორის, მით უფრო დიდია მათ შორის არსებული სემანტიკური „მანძილი“.

I რიგის სემანტიკური მიმართება გულისხმობს ორი ელემენტის (beautiful – attractive) კავშირს დამყარებულს მესამე ელემენტის (lovely) მეშვეობით, რომელიც ორივე მათგანის სინონიმურია მის სემანტიკურ სტრუქტურაში არსებული სხვადასხვა სტატუსის მქონე სემის, მნიშვნელობის სხვადასხვა კომპონენტის ერთობის საფუძველზე: სიტყვა-იდენტიფიკატორის

(beautiful) და მისი სინონიმური ელემენტის (lovely) სემანტიკურ “მნიშვნელს” წარმოადგენს მათ სემანტიკურ სტრუქტურაში არსებული ძირითადი სემის სტატუსის მქონე, მნიშვნელობის საერთო კომპონენტი, ხოლო სიტყვა-იდენტიფიკატორის სინონიმურ (lovely) და არასინონიმურ (attractive) ელემენტთა შორის სინონიმურობის დადგენისათვის აუცილებელი სემანტიკური “მნიშვნელი” წარმოადგენილია სიტყვა-იდენტიფიკატორის სინონიმური ელემენტის (lovely) სემანტიკურ სტრუქტურაში არსებული, მეორადი სემის სტატუსის მქონე, მნიშვნელობის საერთო კომპონენტით (pleasant), რომელიც სიტყვა-იდენტიფიკატორის არასინონიმური ელემენტის (attractive) სემანტიკურ სტრუქტურაში ძირითადი სემის სტატუსის მქონე, მნიშვნელობის კომპონენტის სახით არსებობს, მაგალითად:

“სილამაზის” აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორის “beautiful” და ამ ჯგუფში შემავლი ელემენტის “lovely” სინონიმურობის დამადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს ერთი სიტყვის განმარტება მეორეთი, უფრო ზუსტად კი, ერთი სიტყვის განმარტებაში მნიშვნელობის დომინანტური ელემენტის სახით მეორე სიტყვის არსებობის ფაქტი:

beautiful – lovely; giving pleasure or delight to the mind of senses

lovely – beautiful; pleasant; exciting love or admiration

“სილამაზის” აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის წევრები “lovely” და “attractive” სინონიმებია, რადგან მათ გააჩნიათ მნიშვნელობის საერთო კომპონენტი “pleasant”:

lovely – beautiful; pleasant; exciting love or admiration; amiable

attractive- having the power to attract; pleasant

ლექსიკურ-სემანტიკური ველის ბირთვი შედგება სიტყვა იდენტიფიკატორის სინონიმებისა და სიტყვა-იდენტიფიკატორთან I რიგის სემანტიკურ მიმართებაში მყოფი ელემენტებისაგან სიტყვა-იდენტიფიკატორთან I რიგის სემანტიკურ მიმართებაში მყოფი ელემენტები

beautiful – pretty; beautiful – nice; beautiful – fine; beautiful – nice-looking; beautiful – delicate;

beautiful – dainty; beautiful – refined; beautiful – exquisite; beautiful – elegant; beautiful – noble;

beautiful – attractive; beautiful – charming; beautiful – captivating; beautiful – bewitching; beautiful

– alluring; beautiful – enchanting; beautiful – fascinating; beautiful – appealing; beautiful – winsome;

beautiful – taking; beautiful – sympathetic; beautiful – likable; beautiful – pleasant; beautiful –

pleasing; beautiful – well-pleasing; beautiful – agreeable; beautiful – well-seeming; beautiful – good-

looking; beautiful – well-looking; beautiful – goodly; beautiful – godlike; beautiful – well-made; beautiful – shapely; beautiful – well-shaped; beautiful – formful; beautiful – clean-cut; beautiful – clean-limbed; beautiful – harmonious; beautiful – melodious; beautiful – musical; beautiful – tuneful; beautiful – eyesome; beautiful – peachy; beautiful – rosy; beautiful – smart; beautiful – tidy; beautiful – natty; beautiful – neat; beautiful – trim; beautiful – light; beautiful – lightsome

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – pretty (მიმზიდველი, სანდომიანი, მშვენიერი, ტურფა; ლამაზი (ქალი, ბავშვი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: lovely

სინონიმები: beautiful ≈ lovely; pretty ≈ lovely

“You know I meant it. I am human. And male. And not remotely blind. Do you want me to say it again? You are distractingly, even if-that-is-not-a-real-word pretty. You are so pretty that I bullied Clay

Whitaker into drawing me a picture of you so I could look at you when you aren't around. You are so pretty that one of these days I'm going to lose a finger in my garage because I can't concentrate with you so close to me. You are so pretty that I wish you weren't so I wouldn't want to hit every guy at school who looks at you, especially my best friend.” Katja Millay, *The Sea of Tranquility*

“Anybody can look at a pretty girl and see a pretty girl. An artist can look at a pretty girl and see the old woman she will become. A better artist can look at an old woman and see the pretty girl that she used to be. But a great artist—a master—and that is what Auguste Rodin was—can look at an old woman, portray her exactly as she is...and force the viewer to see the pretty girl she used to be...and more than that, he can make anyone with the sensitivity of an armadillo, or even you, see that this lovely young girl is still alive, not old and ugly at all, but simply prisoned inside her ruined body. He can make you feel the quiet, endless tragedy that there was never a girl born who ever grew older than eighteen in her heart...no matter what the merciless hours have done to her. Look at her, Ben.

Growing old doesn't matter to you and me; we were never meant to be admired—but it does to them.”

Robert A. Heinlein

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – nice (სასიამოვნო, საამო, საამური, საყვარელი, მიმზიდველი, კარგი, სანდომიანი; თავაზიანი, ყურადღებიანი (ურთიერთობისას); ტაქტიანი, თავდაპყერილი; ეშხიანი, შნოიანი; გემოვნებით

შესრულებული; ზუსტი, სწორი, მგრძობიარე (მექანიზმი); მახვილი (სმენა, მხედველობა); დახვეწილი (სტილი, მანერები)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: bonny

სინონიმები: beautiful \approx bonny; nice \approx bonny

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – fine (წვრილი, წმინდა, თხელი; ნაზი, სათუთი, შნოიანი; კობტა, ლამაზი, მოხდენილი; თავაზიანი, ხათრიანი, დელიკატური; სუფთა; გასუფთავებული; მაღალხარისხოვანი; მშვენიერი, საუკეთესო, ჩინებული; მზიანი, უღრუბლო (ამინდი); მორთული, მოკაზმული; ბასრი, მახვილი; ზუსტი, სწორი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: lovely

სინონიმები: beautiful \approx lovely; fine \approx lovely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – nice-looking (სანდომიანი, მარილიანი, ეშხიანი; მიმზიდველი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: bonny

სინონიმები: beautiful \approx bonny; nice-looking \approx bonny

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – delicate (ფაქიზი, დახვეწილი; ნაზი; შნოიანი; კობტა; სუსტი; თავაზიანი, ხატრიანი, დელიკატური; საჩოთირო (საკითხი, მდგომარეობა); მგრძობიარე (ხელსაწყო)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: graceful

სინონიმები: beautiful \approx graceful; delicate \approx graceful

“Hearts may break, but hearts are the toughest of muscles, able to pump for a lifetime, seventy times a minute, and scarcely falter along the way. Even dreams, the most delicate and intangible of things, can prove remarkably difficult to kill.” Neil Gaiman, Fragile Things

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – dainty (ძალიან გემრიელი; დახვეწილი, ფაქიზი; გარკვეული, გასაგები)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: graceful

სინონიმები: beautiful \approx graceful; dainty \approx graceful

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – refined (დაწმენდილი, გაწმენდილი, რაფინირებული; დახვეწილი, შნოიანი, ნატიფი, მოხდენილი (მანერები)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: graceful

სინონიმები: beautiful \approx graceful; refined \approx graceful

“One must shed the bad taste of wanting to agree with many. "Good" is no longer good when one's neighbor mouths it. And how should there be a "common good"! The term contradicts itself: whatever can be common always has little value. In the end it must be as it is and always has been: great things remain for the great, abysses for the profound, nuances and shudders for the refined, and, in brief, all that is rare for the rare.” Friedrich Nietzsche, Beyond Good and Evil

“My dear fellow, the truth isn't quite the sort of thing one tells to a nice, sweet, refined girl. What extraordinary ideas you have about the way to behave to a woman!” Oscar Wilde, The Importance of Being Earnest

“Look around you. Everything changes. Everything on this earth is in a continuous state of evolving, refining, improving, adapting, enhancing...changing. You were not put on this earth to remain stagnant.” Steve Maraboli, Life, the Truth, and Being Free

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – exquisite (საუკეთესო, ჩინებული)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: graceful

სინონიმები: beautiful ≈ graceful; exquisite ≈ graceful

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – elegant (შნოიანი, ტურფა, კობტა,

მოხდენილი, ელეგანტური; [სალ.] საუკეთესო, ჩინებული)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: well-graced

სინონიმები: beautiful ≈ well-graced; elegant ≈ well-graced

“she loved to walk down the street with a book under her arm. It had the same significance for her as an elegant cane for the dandy a century ago. It differentiated her from others.” Milan Kundera, The Unbearable Lightness of Being

“How is it that hardly any major religion has looked at science and concluded, “This is better than we thought! The Universe is much bigger than our prophets said, grander, more subtle, more elegant?” Instead they say, “No, no, no! My god is a little god, and I want him to stay that way.” A religion, old or new, that stressed the magnificence of the Universe as revealed by modern science might be able to draw forth reserves of reverence and awe hardly tapped by the conventional faiths.” Carl Sagan, Pale Blue Dot: A Vision of the Human Future in Space

“Madame Michel has the elegance of the hedgehog: on the outside she is covered in quills, a real fortress, but my gut feeling is that on the inside, she has the same simple refinement as the hedgehog:

a deceptively indolent little creature, fiercely solitary--and terrible elegant. ” Muriel Barbery, *The Elegance of the Hedgehog*

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – noble (კეთილშობილი, კეთილშობილური;
სულგრძელი, დიდსულოვანი; დიდებული, დიადი; მშვენიერი, შესანიშნავი;
წარჩინებული, ტიტულიანი, ტიტულოსანი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: lovely

სინონიმები: beautiful ≈ lovely; noble ≈ lovely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – attractive (მიმზიდველი, სანდომიანი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: bonny

სინონიმები: beautiful ≈ bonny; attractive ≈ bonny

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – charming (მშვენიერი, ტურფა, მომხიბლავი,
მომაჯადოებელი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: bonny

სინონიმები: beautiful ≈ bonny; charming ≈ bonny

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – captivating (წარმტაცი, მომხიბლავი,
მომაჯადოებელი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: lovely

სინონიმები: beautiful ≈ lovely; captivating ≈ lovely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – bewitching (მომხიბლავი, მშვენიერი,
მომაჯადოებელი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: bonny

სინონიმები: beautiful ≈ bonny; bewitching ≈ bonny

“Having been a demon curse, however brief, should leave a mark. A streak of silver hair, or bewitching eyes. Maybe crows on one's roof or a hound from hell at your heel. Blowing out my breath I stood and squinted at my reflection. A black eye. Swell.” Kim Harrison, *For a Few Demons More*

“The Mole was bewitched, entranced, fascinated. By the side of the river he trotted as one trots, when very small, by the side of a man who holds one spellbound by exciting stories; and when tired at last, he sat on the bank, while the river still chattered on to him, a babbling procession of the best

stories in the world, sent from the heart of the earth to be told at last to the insatiable sea.” Kenneth Grahame, *The Wind in the Willows*

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – alluring (მაცდური, მაცდუნებელი;

მიმზიდველი, სანდომიანი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: fair

სინონიმები: beautiful ≈ fair; alluring ≈ fair

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – enchanting (მომხიბლავი, მშვენიერი,

მომაჯადოებელი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: bonny

სინონიმები: beautiful ≈ bonny; enchanting ≈ bonny

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – fascinating (მომაჯადოებელი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: fair

სინონიმები: beautiful ≈ fair; fascinating ≈ fair

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – appealing (ამაღელვებელი; მომხიბვლელი,

მიმზიდველი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: lovely

სინონიმები: beautiful ≈ lovely; appealing ≈ lovely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – winsome (მიმზიდველი, მომხიბლავი,

მომაჯადოებელი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: lovely

სინონიმები: beautiful ≈ lovely; winsome ≈ lovely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – taking (მიმზიდველი, სანდომიანი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: handsome

სინონიმები: beautiful ≈ handsome; taking ≈ handsome

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – sympathetic (სიმპათიური)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: handsome

სინონიმები: beautiful ≈ handsome; sympathetic ≈ handsome

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – likable (სასიამოვნო, საამო, საამური,

მიმზიდველი, სანდომიანი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: handsome

სინონიმები: beautiful ≈ handsome; likable ≈ handsome

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – pleasant (სასიამოვნო, საამო, საამური;
სანდომიანი, კარგი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: handsome

სინონიმები: beautiful ≈ handsome; pleasant ≈ handsome

“If an optimist had his left arm chewed off by an alligator, he might say in a pleasant and hopeful voice, "Well this isn't too bad, I don't have a left arm anymore but at least nobody will ever ask me if I'm left-handed or right-handed," but most of us would say something more along the lines of, "Aaaaa! My arm! My arm!" Lemony Snicket, Horseradish

“The road that is built in hope is more pleasant to the traveler than the road built in despair, even though they both lead to the same destination.” Marion Zimmer Bradley, The Fall of Atlantis

“Does she still love you?” "I don't think so," Magnus said dryly. "She wasn't very pleasant the last time I saw her. Of course, that could be because I've got an eighteen year-old boyfriend with a stamina rune and she doesn't." Alec sputtered. "As the person being objectified, I ... object to that description of me.” Cassandra Clare, City of Lost Souls

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – pleasing (სასიამოვნო, სიამოვნების
მიმნიჭებელი; მიმზიდველი, სანდომიანი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: handsome

სინონიმები: beautiful ≈ handsome; pleasing ≈ handsome

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – well-pleasing (სასიამოვნო, სიამოვნების
მიმნიჭებელი; მიმზიდველი, სანდომიანი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: comely

სინონიმები: beautiful ≈ comely; well-pleasing ≈ comely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – agreeable (სასიამოვნო, საამური)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: handsome

სინონიმები: beautiful ≈ handsome; agreeable ≈ handsome

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – well-seeming (სასიამოვნო, საამური)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: comely

სინონიმები: beautiful ≈ comely; well-seeming ≈ comely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – good-looking (ლამაზი, კობტა,

მოხდენილი; კარგი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: handsome

სინონიმები: beautiful ≈ handsome; good-looking ≈ handsome

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – well-looking (ლამაზი, კობტა, მოხდენილი;

კარგი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: handsome

სინონიმები: beautiful ≈ handsome; well-looking ≈ handsome

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – goodly (ლამაზი, კობტა, მოხდენილი,

სანდომიანი, ეშხიანი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: handsome

სინონიმები: beautiful ≈ handsome; goodly ≈ handsome

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – godlike (ღვთაებრივი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: handsome

სინონიმები: beautiful ≈ handsome; godlike ≈ handsome

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – well-made (კარგი, ტანადი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: comely

სინონიმები: beautiful ≈ comely; well-made ≈ comely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – shapely (ტანადი, ტანწერწეტა,

მოხდენილი, კენარი; წესიერი ფორმის)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: comely

სინონიმები: beautiful ≈ comely; shapely ≈ comely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – well-shaped (კარგი მოყვანილობის, კარგი

ფორმის)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: comely

სინონიმები: beautiful ≈ comely; well-shaped ≈ comely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – formful (კარგი მოყვანილობის, კარგი

ფორმის)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: comely

სინონიმები: beautiful ≈ comely; formful ≈ comely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – clean-cut (მკვეთრად მოხაზული;

განსაზღვრული, გარკვეული, ზუსტი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: comely

სინონიმები: beautiful ≈ comely; clean-cut ≈ comely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – clean-limbed (მკვეთრად მოხაზული;

განსაზღვრული, გარკვეული, ზუსტი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: comely

სინონიმები: beautiful ≈ comely; clean-limbed ≈ comely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – harmonious (შეთანხმებული; ჰარმონიული,

კეთილხმოვანი, შეხმატკბილებული)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: well-favoured

სინონიმები: beautiful ≈ well-favoured; harmonious ≈ well-favoured

“Music is an agreeable harmony for the honor of God and the permissible delights of the soul.”

Johann Sebastian Bach

“Oh look, yet another Christmas TV special! How touching to have the meaning of Christmas brought to us by cola, fast food, and beer.... Who'd have ever guessed that product consumption, popular entertainment, and spirituality would mix so harmoniously?” Bill Watterson, The Essential Calvin and Hobbes

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – melodious (მელოდიური, კეთილხმოვანი;

მუსიკალური)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: lovely

სინონიმები: beautiful ≈ lovely; melodious ≈ lovely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – musical (მელოდიური, კეთილხმოვანი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: lovely

სინონიმები: beautiful ≈ lovely; musical ≈ lovely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – tuneful (მელოდიური; კეთილხმოვანი,

ჰარმონიული)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: lovely

სინონიმები: beautiful ≈ lovely; tuneful ≈ lovely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – eyesome (სასიამოვნო, მიმზიდველი, მომხიბლავი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: well-favoured

სინონიმები: beautiful ≈ well-favoured; eyesome ≈ well-favoured

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – peachy (მშვენიერი, ტურფა, საუცხოო, მომხიბლავი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: bonny

სინონიმები: beautiful ≈ bonny; peachy ≈ bonny

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – rosy (ვარდისფერი; წითელი, ღაჟღაჟა, აყვავებული; კაშკაშა, ხასხასა; ფერად-ფერადი; ჯანსაღი ფერი (კანის)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: bonny

სინონიმები: beautiful ≈ bonny; rosy ≈ bonny

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – smart (ჭკვიანი, გონიერი, საზრიანი; შორსმჭვრეტელი, გამჭრიახი; შნოიანი, კოხტა, მოხდენილი, ელეგანტური; მოდური, კოპწია)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: graceful

სინონიმები: beautiful ≈ graceful; smart ≈ graceful

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – tidy (სუფთა, წმინდა, ფაქიზი; დალაგებული, სუფთა (ოთახი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: bonny

სინონიმები: beautiful ≈ bonny; tidy ≈ bonny

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – natty (აკურატულად შეკერილი, შნოიანი, კოხტა, მოხდენილი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: graceful

სინონიმები: beautiful ≈ graceful; natty ≈ graceful

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – neat (აკურატული, სუფთა, წმინდა, ფაქიზი; შნოიანი, კოხტა, მოხდენილი; თავმდაბალი, მორიდებული; მკაფიო, გარკვეული, ნათელი (გეგმა, სქემა); დახვეწილი, ლაკონური (სტილი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: bonny

სინონიმები: beautiful ≈ bonny; neat ≈ bonny

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – trim (წესრიგში მოყვანილი,

მოწესრიგებული; აკურატული, წესიერი; მორთული, მოკაზმული; მზად მყოფი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: bonny

სინონიმები: beautiful ≈ bonny; trim ≈ bonny

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – light (მსუბუქი, მჩატე; უმნიშვნელო;

ადვილი, იოლი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: graceful

სინონიმები: beautiful ≈ graceful; light ≈ graceful

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – lightsome (მსუბუქი, გრაციოზული,

კოხტა, ნარნარი; მხიარული; მარდი, მარჯვე, ცქვიტი; ნათელი, კაშკაშა, ბრწყინვალე)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: graceful

სინონიმები: beautiful ≈ graceful; lightsome ≈ graceful

გარდამავალი სფერო

ლექსიკურ-სემანტიკური ველის გარდამავალი სფერო შედგება სიტყვა იდენტიფიკატორის სიტყვა-იდენტიფიკატორთან II რიგის სემანტიკურ მიმართებაში მყოფი ელემენტებისაგან.

II რიგის სემანტიკური მიმართება მყარდება ორ ელემენტს შორის მესამე ელემენტის

მეშვეობით, რომელიც სინონიმურია ერთ-ერთი მათგანისა, მეორესთან კი იმყოფება I რიგის სემანტიკურ მიმართებაში

სიტყვა-იდენტიფიკატორთან II რიგის სემანტიკურ მიმართებაში მყოფი ელემენტები

beautiful – splendiferous; beautiful – splendid; beautiful – tender; beautiful – symmetric; beautiful –

well-proportioned; beautiful – perfect; beautiful – regular; beautiful – sublime; beautiful – clean;

beautiful – polished; beautiful – soft; beautiful – smooth; beautiful – mellow

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – splendiferous (საუცხოო, ჩინებული,

შესანიშნავი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: fine

სინონიმები: splendiferous ≈ fine

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – fine

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: lovely

სინონიმები: beautiful ≈ lovely; fine ≈ lovely

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – splendid (მდიდრული, დიდებული, ჩინებული, საუცხოო, შესანიშნავი; მშვენიერი)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: fine

სინონიმები: splendid ≈ fine

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – fine

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: lovely

სინონიმები: beautiful ≈ lovely; fine ≈ lovely

“One could not count the moons that shimmer on her roofs, or the thousand splendid suns that hide behind her walls.” Khaled Hosseini, *A Thousand Splendid Suns*

“After all," Anne had said to Marilla once, "I believe the nicest and sweetest days are not those on which anything very splendid or wonderful or exciting happens but just those that bring simple little pleasures, following one another softly, like pearls slipping off a string.” L.M. Montgomery, *Anne of Avonlea*

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – tender (ნაზი, აზიზი, სათუთი; სუსტი (ჯანმრთელობა); რბილი, ჩვილი, ფაფუკი; მგრძობიარე; ფაქიზი; ალერსიანი, მოსიყვარულე)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: delicate

სინონიმები: tender ≈ delicate

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – delicate

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: graceful

სინონიმები: beautiful ≈ graceful; delicate ≈ graceful

“When we honestly ask ourselves which person in our lives mean the most to us, we often find that it is those who, instead of giving advice, solutions, or cures, have chosen rather to share our pain and touch our wounds with a warm and tender hand. The friend who can be silent with us in a moment of despair or confusion, who can stay with us in an hour of grief and bereavement, who can tolerate not knowing, not curing, not healing and face with us the reality of our powerlessness, that is a friend who cares.” Henri J.M. Nouwen, *Out of Solitude: Three Meditations on the Christian Life*

“Pain is a pesky part of being human, I've learned it feels like a stab wound to the heart, something I wish we could all do without, in our lives here. Pain is a sudden hurt that can't be escaped. But then I have also learned that because of pain, I can feel the beauty, tenderness, and freedom of healing. Pain

feels like a fast stab wound to the heart. But then healing feels like the wind against your face when you are spreading your wings and flying through the air! We may not have wings growing out of our backs, but healing is the closest thing that will give us that wind against our faces.” C. Joy Bell C.

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – symmetric (სიმეტრიული)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: harmonious

სინონიმები: symmetric \approx harmonious

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – harmonious

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: well-favored

სინონიმები: beautiful \approx well-favored; harmonious \approx well-favored

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – well-proportioned (პროპორციული)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: harmonious

სინონიმები: well-proportioned \approx harmonious

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – harmonious

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: well-favoured

სინონიმები: beautiful \approx well-favoured; harmonious \approx well-favoured

“I took a wrong turn on the way to the bathroom and found myself in a beautifully proportioned room I had never seen before, containing a really rather magnificent collection of chamberpots. When I went back to investigate more closely, I discovered that the room had vanished. But I must keep an eye out for it. Possibly it is only accessible at five thirty in the morning. Or it may only appear at the quarter moon - or when the seeker has an exceptionally full bladder.” J.K. Rowling, Harry Potter and the Goblet of Fire

მიმართება ელემენტებს შორის: beautiful – perfect (სრულყოფილი, უნაკლო; დასრულებული)

ელემენტთა სემანტიკური მნიშვნელი: refined

